ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 37 (20078) შაბათი, 13 თებერვალი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 11 თებერვალს გამართულ სხდომაზე განიხილა ქალაქებში და სოფლად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარების დაჩქარებასთან დაკავშირებული საკითხები. განხილვის დროს აღინიშნა, რომ ამ სახეობის მშენებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული იმ ამოცანის შესრულებისათვის, რომ 2000 წლისათვის თითოეული საბჭოთა ოჯახი უზრუნველვყოთ ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით. ამავე დროს ბევრ მოკავშირე რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში შეანელეს ყურადღება ინდივიდუალური სახლების მშენებლობისადმი. ამ საქმეში შემოიღეს დაუსაბუთებელი შეზღუდვები და აკრძალვები, გავრცელებულია მცდარი, ზოგჯერ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება ინდივიდუალური გამშენებლებისადმი. ადგილობრივი ორგანოები ყოველთვის როდი უწყობენ ხელს მათ ნაკვეთების გამოყოფის, სახლების მშენებლობის საკითხთა გადაწყვეტაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ საწარმოებისა და ადგილობრივი ორგანოების ეკონომიკური დაინტერესების გაზრდას მშრომელთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობით, რეკონსტრუქციითა და შეკეთებით, განსაზღვრულია ინდივიდუალური მშენებლობის დაკრედიტების ახალი, უფრო შეღავათიანი პირობები, დასახულია საშენი მასალებისა და მოწყობილობის საბაზრო ფონდების მნიშვნელოვანი გაზრდა. გათვალისწინებულია შეიქმნას ინდივიდუალურ გამშენებელთა ამხანაგობები, სპეციალიზებული საპროექტო და სამშენებლო კოოპერატივები, გაიზარდოს სახლების მშენებლობა საიჯარო და სამეურნეო წესით.

პოლიტბიურომ მხარი დაუჭირა მთავრობის წინადადებებს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისათვის კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის შესახებ. საგარეო ბაზარზე საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების გასვლის პირობებში იმ კადრების კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემის გადაჭრას, რომლებიც საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სფეროში დასახული ამოცანების წარმატებული შესრულებისათვის. განზრახულია საგარეო-ეკონომიკური პროფილის სპეციალისტთა მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია სსრ კავშირში საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის მართვის ახალი მექანიზმის, მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე პირობების, ამ დარგში საზღვარგარეთის მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით.

მოისმინეს ა. ა. გრომიკოს ინფორმაცია 1987 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შედეგებზე. როგორც პოლიტბიურომ აღნიშნა, ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, მისი პრეზიდიუმის, პალატების მუდმივი კომისიების მუშაობის ძირითადი შინაარსი იყო ის, რომ განეხორციელებინათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარდაქმნისა და დაჩქარების, პარტიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო დემოკრატიზაციის საჯაროობის გაფართოებისათვის გამიზნული სტრატეგიული კურსი. თანამიმდევრულად მიმდინარეობდა კანონმდებლობის სრულყოფისათვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის მუშაობა. მიზანდასახულად ხორციელდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს ყველა საფეხურის საბჭოებისადმი ხელმძღვანელობა, მთელი მათი მეცადინეობა მოახმარონ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ დასახული ამოცანების პრაქტიკულ შესრულებას, თავიანთი ტერიტორიების კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფას, ძლიერი სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, ანგარიშვალდებულ ორგანოთა მუშაობისადმი კონტროლის გაძლიერებას.

განიხილეს ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება კოლმეურნეთა მეოთხე საკავშირო ყრილობისათვის, რომელიც 1988 წლის 23-25 მარტს გაიმართება. აღინიშნა, რომ ამ მუშაობას დაუდგა დამამთავრებელი სტადია. გაიმართა კოლმეურნეთა კრებები, კონფერენციები და ყრილობები, რომლებზეც არჩეულია 4,4 ათასი დელეგატი. ფართო დემოკრატიის პირობებში გრძელდება კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტის დაინტერესებული განხილვა.

მხარი დაუჭირეს მთავრობის მიერ დასახულ პრაქტიკულ ღონისძიებებს 1989 წლის იანვარში მოსახლეობის საკავშირო აღწერისათვის მოსამზადებლად, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მივიღოთ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო სტატისტიკური მონაცემები.

პოლიტბიურომ განიხილა და მოიწონა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის 1987 წლის მუშაობის შედეგები. სხდომაზე აღინიშნა, რომ გაიზარდა პარტიული კონტროლის გავლენა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაზე, პარტორგანიზაციათა ცხოვრებასა და საქმიანობაში ურთიერთმომთხოვნელობისა და მომკითხველობის ატმოსფეროს დამკვიდრებაზე. გაძლიერდა მოთხოვნა კომუნისტებისადმი ქცევის იდეურ-ზნეობრივი ნორმების დაცვისათვის.

გარდაქმნის ახალ ეტაპზე პარტიული კონტროლის ორგანოებმა კვლავაც უნდა სრულყონ თავიანთი მუშაობა პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისათვის, ხელი შეუწყონ დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესის გაღრმავებას, მტკიცედ იბრძოლონ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების ამოძირკვისა და კადრების საქმიანობაში ხელმძღვანელობის ნამდვილად ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის.

მოიწონეს ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრთან მ. კუსუმაატმაჯასთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრისა და ე. ა. შევარდნაძის მოლაპარაკების შედეგები. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის დიალოგის გაღრმავებას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, მსოფლიოს ამ ნაწილში პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის. დადასტურდა, რომ საბჭოთა მხარე მზად არის ხელი შეუწყოს სსრ კავშირისა და ინდონეზიის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას ყველა დარგში, მათ შორის საქონელბრუნვის განვითარებასა და ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე ეკონომიკური თანამშრომლობის მოგვარებას.

სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან მ. ორჟეხოვსკისთან მ. ს. გორბაჩოვისა და ა. ა. გრომიკოს საუბრებისა და ე. ა. შევარდნაძის მოლაპარაკების შედეგები. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური თანამშრომლობა ვითარდება დინამიკურად და განუხრელად, მდიდრდება ახალი შინაარსით, ივსება ფორმით, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას ერთნაირი შეხედულებანი აქვთ საერთაშორისო საკითხებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა ბადენ-ვიურტემბერგის მხარის პრემიერ-მინისტრთან, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პარტიის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) თავმჯდომარის მოადგილესთან ლ. შპეტთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრის შედეგები. აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის გასვლა ახალ დონეზე უკვე დაიწყო. გრძელვადიანი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის მყარი სტრუქტურის შექმნა ხელს შეუწყობს პოზიტიური პროცესების ზრდას საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობაში და ამით მთლიანად ევროპის საერთო-პოლიტიკური ატმოსფეროს გაუმჯობესებას.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ზოგიერთი სხვა საკითხი.

მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო კრიშნა ჩანდრა პანტი



შეხვედრის დროს.

საქდეს-საქინფორმის ფოტოქრონიკა.

11 თებერვალს მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო ინდოეთის თავდაცვის მინისტრი კ. ჩ. პანტი, რომელმაც მას გადასცა პრემიერ-მინისტრ რაჯივ განდის პირადი წერილი.

გაეცნო რა წერილს და მიესალმა სტუმარს, მ. ს. გორბაჩოვმა სთხოვა მას გადაეცა რ. განდისათვის, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა განუხრელად ერთგულობს უმაღლესი დონის შეხვედრის დროს მიღწეულ მორიგებებს, დელის დეკლარაციის პრინციპებსა და სულისკვეთებას. საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია, რომ კვლავაც გაიზარდოს დამოუკიდებელი, პროგრესული, დინამიკურად განვითარებადი ინდოეთის საერთაშორისო როლი, რომელსაც შეუცვლელი წვლილი შეაქვს მსოფლიოს საქმეებში.

ინდოეთთან მეგობრობისა და პრიორიტეტული თანამშრომლობის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი აღრმავებს და ამდიდრებს ტრადიციას, რომელიც ათწლეულებს ითვლის, იგი იმით არის მტკიცე, რომ წვდება ორივე ქვეყნის მილიონობით ადამიანის სულს და ემყარება ორივე მხარის არსებითს პოლიტიკურ ინტერესებს. მ. ს. გორბაჩოვმა დიდად შეაფასა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ფესტივალი, რომელმაც მეტად დააახლოვა ჩვენი ხალხები.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემის ორი სახელმწიფო, რომლებსაც უდიდესი და თავისებური ისტორია აქვთ, ასეთი უპრეცედენტო თანამშრომლობის მაგალითს იძლევა. ეს სასარგებლოა ჩვენი ორი დიდი ხალხისათვის, ყველა ხალხისათვის, მთელი მსოფლიო გაერთიანებისათვის. ამით დაუინტერესებლობას იჩენენ და ეწინააღმდეგებიან მხოლოდ ანგარებით შეპყრობილნი, ისინი, ვისაც არ სურს, რომ ინდოეთს მსოფლიო პროცესებში მისი წონისა და ავტორიტეტის შესაფერისი ადგილი ჰქონდეს.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრული ურთიერთმოქმედების ძირითადი ელემენტი გახდა რეგულარული კონტაქტები და ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან რ. განდისთან მიმოწერა. არ არსებობს საერთაშორისო მნიშვნელობის რამდენადმე აქტუალური საკითხი, რომლის გამოც სურვილი არ გვებადებოდეს გავუზიაროთ მას ინფორმაცია, აზრი, ფიქრები. მ. ს. გორბაჩოვმა სთხოვა კ. ჩ. პანტს გადასცეს რაჯივ განდის, რომ იგი დიდად აფასებს მასთან ამ მუდმივ მეგობრულ დიალოგს.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ასეთი დონისა და მასშტაბის ურთიერთმოქმედებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა, როცა ერთიანდებიან რეაქციული მილიტარისტული წრეები, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ განიარაღებისა და საერთაშორისო უშიშროების სფეროში დაწყებული პოზიტიური პროცესები. ისინი ყველაფერს კადრულობენ, ოღონდ როგორმე სახელი გაუტეხონ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების პოლიტიკასა და ხელმძღვანელებს.

მაგრამ მათი გეგმების განხორციელებას ხელს უშლის შთამბეჭდავი რეალობა: განიარაღების, თანასწორუფლებიანობისა და საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაციის გეზს სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს მსოფლიო საზოგადოებრიობა, ქვეყნების უმრავლესობის რეალისტური წრეები, და ეს ოპტიმიზმს გვინერგავს. პანტი დაეთანხმა ამას და აღნიშნა ის ფაქტი, რომ იზრდება ისეთი ძალები, რომლებიც სარბიელზე გამოიყვანა სსრ კავშირის, სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების ინიციატივიანმა, მასშტაბურმა პოლიტიკამ. მან მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ხელმძღვანელობის საქმიანობას, რომელიც, როგორც მან თქვა, რთული ანალიზის საფუძველზე შემუშავებული იდეების განხორციელებაში სიტყვისა და საქმის ჰარმონიით, სიმტკიცით გამოირჩევა. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახალგაზრდა თაობებისათვის. მათთვის წინათაც ცნობილი იყო ბირთვული საუკუნის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის იმპერატივები, მაგრამ საბჭოთა კავშირის ახალი პოლიტიკის მეოხებით ღირებულებათა ქარტიად მიიღეს მთლიანი კონცეფცია, რომელიც საერთო მიმართულებას აძლევს განსხვავებულ სურვილებს, განწყობილებასა და მისწრაფებებს.

კ. ჩ. პანტმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულებას, ამასთან გამოთქვა იმედი, რომ იგი დამტკიცდება გარკვეული ძალების წინააღმდეგობის მიუხედავად და წარმატებით დამთავრება უკურა სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემცირების მოლაპარაკებას.

განიხილეს ავღანეთის პრობლემა, იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები მ. ს. გორბაჩოვისა და ნაჯიბულას განცხადებებთან დაკავშირებით, დაადასტურეს, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია, ავღანეთი იყოს დამოუკიდებელი, მიუმხრობელი, ნეიტრალური, საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მიმართ მეგობრულად განწყობილი სახელმწიფო.

მხარეებმა შეშფოთება გამოთქვეს ამერიკის მიერ პაკისტანისათვის სამხედრო დახმარების გაზრდისა და იმ ბირთვული პროგრამის სახიფათო ასპექტების გამო, რომელიც ხორციელდება ამ ქვეყანაში.

მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ პოზიტიურად ეკიდება ინდოეთის მთავრობის პასუხისმგებლურ საქმიანობას, რომელსაც იგი ეწევა შრი ლანკის ეთნიკური კონფლიქტის საკითხში.

თანამოსაუბრეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სამხედრო ხაზით სსრ კავშირისა და ინდოეთის თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება, ამასთან დაკავშირებული საკითხები გულითად, ნაყოფიერ და მეგობრულ ვითარებაში წყდება. შეთანხმდნენ შეისწავლონ ახალი იდეები, რომლებიც ამ ვიზიტის დროს ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრთან მოლაპარაკებაზე იშვა.

საუბრის მონაწილემ, ელჩმა ტ. ნ. კაულმა მ. ს. გორბაჩოვს გადასცა ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტის, ინდირა განდის სახელობის საერთაშორისო პრემიის მიმნიჭებელი საერთაშორისო ჟიურის მეთაურის შ. დ. შარმას წერილი, რომელშიც შეატყობინა მ. ს. გორბაჩოვს, რომ მას ეს პრემია მიენიჭა შარშან და მიიწვია ჯილდოს გადაცემის ცერემონიაზე. მ. ს. გორბაჩოვმა დიდი მადლობა გადაიხადა და ხაზგასმით აღნიშნა პრემიის პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ინდოელი ხალხის დიდი შვილის წვლილს თავისი ქვეყნის აღმავლობაში და ინდოეთისა და სსრ კავშირის მეგობრობისა და ნდობის განმტკიცებაში.

შეხვედრაში მონაწილეობდა დ. ტ. იაზოვი. (საქდესი).



საამქროს უფროსი 24 წლისაა

ადრე რომ ეთქვა ვინმეს, 24 წლის ბიჭი რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს წამყვანი საამქროს უფროსად დანიშნესო, ხმამაღლა თუ არ ვიტყოდით, გულში მაინც გავივლებდით, „კაცი" ჰყოლია, „საქმე ჩაუწყვია" და ამიტომ დანიშნესო.

ნოდარ ჩხოლარიასაც ჰყავდა კაცი, თანაც ერთი კი არა 179...

საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" მესამე საამწყობო საამქრო ერთ-ერთი დიდი და რთული უბანია, სწორედ ამ საამქროს უფროსად აირჩიეს მუშებმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ნოდარ ჩხოლარია. საამქროს 180 მუშიდან მხოლოდ ერთმა არ მისცა ხმა, ძალიან ახალგაზრდაა და ამოდენა საქმეს ვერ გაუძლებსო.

საამქროს უფროსის არჩევნები 1987 წლის 15 ოქტომბერს მოეწყო, დღეს კი 1988 წლის 8 იანვარია. მე და ნოდარი საამქროს დასასვენებელ ოთახში ვსხედვართ და ვსაუბრობთ:

— ნოდარ, ალბათ მთელი ცხოვრება გეხსომებათ 15 ოქტომბერი, — ვეუბნები საამქროს უფროსს.

— სულ სამი კანდიდატურა იყო. ერთ-ერთი მე გახლდით... სამივე კანდიდატურა მუშებმა დაასახელეს.

— შენი „მეტოქეები" ასაკით უფროსები იყვნენ?

— ერთი ოცდაექვსისაა, მეორე — ოცდახუთისა.

— გამოდის, რომ ამ საამქროში ახალგაზრდებს ენდობიან.

— მარტო საამქროში კი არა, მთელ ქარხანაში.

— ის ერთი კაცი ვინ იყო, თავი რომ შეიკავა?

— კაცი არა, ქალი იყო, საამქროს მემონტაჟე.

— შურისძიების გრძნობა არ გაგიჩნდა?

— მართალი იყო ის ქალი და რას ვერჩით... ძნელია 24 წლის ახალგაზრდა კაცისათვის ამოდენა საამქროს უფროსობა.

— მაშინაც ასე ფიქრობდი, როცა გირჩევდნენ?

— დიახ.

— მაშ, უარი რატომ არა თქვი?

— ცდუნება მეტად დიდი იყო, უარს ასეთ დროს ვერ იტყვი...

— რაკი ასე ერთხმად აგირჩია მთელმა საამქრომ, მაშასადამე, ხალხს ჰყვარებიხარ. როდის მოასწრეს შეყვარება?

— სამ წელიწადში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ აქ მოვედი განაწილებით... ჯერ ოსტატად ვმუშაობდი, მერე საამქროს უფროსის მოადგილედ, 1986 წლის თებერვლიდან გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის განთავისუფლებულ მდივნად ამირჩიეს, კომკავშირის რაიკომის ბიუროს წევრი ვიყავი, საქალაქო კომიტეტის წევრი, ყრილობის დელეგატი.

— როგორც საამქროს უფროსი, რას ანიჭებ უმთავრეს მნიშვნელობას?

— ხალხთან ურთიერთობას.

— მოწინავეებზე რა აზრისა ხარ?

— როგორ გავიგო?

— როგორ და, წარმოიდგინე კაცი, რომელიც თავის ცვლაში, დავუშვათ 50 დეტალს ჩარხავდა, სხვები 30-30 დეტალს ჩარხავდნენ, ის კი ორმოცდაათს. ასე გრძელდებოდა თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე. იდგა კაცი თავდახრილი დაზგასთან და თავის საქმეს აკეთებდა. ასრულებდა გეგმებს. ყველა პატივს სცემდა „ერიც და ბერიც". ერთ მშვენიერ დღესაც ეს გამრჯე კაცი „შეამჩნიეს", ჯერ მოწინავეთა დაფაზე გაჩნდა მისი პორტრეტი, მერე გაზეთში, შემდეგ ტელევიზორშიც გამოიყვანეს, მერე ბიუროს წევრად აირჩიეს, მერე კიდევ რაღაცის წევრად აირჩიეს, კიდევ რაღაცის... მეგობრებს რომ არ ჩამორჩენოდა კაცი, ტყავიდან ძვრებოდა, საკუთარი თავისუფალი დროის ხარჯზე ცდილობდა გეგმის შესრულებას, მაგრამ 45 დეტალზე მეტს ველარ ჩარხავდა, მთელი დრო საზოგადოებრივ საქმიანობას მიჰქონდა. კორესპონდენტები კი აკითხავდნენ და აკითხავდნენ... ძალიან ბრაზობდა კაცი, თავი დამანებეთ, ბევრ დროს მართმევთ, დეტალებს ველარ ვჩარხავ და ჩემი მოწინავეობა მუშებს სიცილად არ ჰყოფნითო... ყური არავინ ათხოვა. რომ ველარაფერი გააწყო, ხელი ჩაიქნია. ცოტა მოსწონდა კიდეც პრეზიდიუმში ჯდომა, რაც დრო გადიოდა, პოპულარობა მეტ სიამოვნებას ანიჭებდა. ერთი სული ჰქონდა, როდის დაუძახებდნენ მორიგ ბიუროზე, შეხვედრაზე, ან დელეგაციაში ჩარი-

(დასასრული მე-2 გვ.).

სოციალისტური კონტროლის ლენინური პრინციპებისათვის

[illegible]

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

საქართველოს დედაქალაქის სტუმარი

11 თებერვალს თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი კ. ჩ. პანტი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება.

აეროდრომზე კ. ჩ. პანტსა და მის თანხლებ პირთ დახვდნენ სახმელეთო ჯარების მთავარი შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი დ. ა. გრინკევიჩი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ა. ლაბახუა, სხვა ოფიციალური პირნი.

მეორე დღეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბში გამართულ შეხვედრაზე საპატიო სტუმარს გააცნეს ოლქის ისტორია, ამოცანები, რომლებსაც წყვეტენ დღეს ამიერკავკასიელი მეომრები ქვეყნის სამხრეთის საზღვრების დაცვისათვის.

მეომართა ცხოვრებასა და საბრძოლო წვრთნას ინდოეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი გაეცნო უშუალოდ ერთ-ერთ ნაწილში.

კ. ჩ. პანტმა დაათვალიერა საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, საზეიმო რიტუალების სასახლე, რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის სახელით გაიმართა სადილი საპატიო სტუმრის პატივსაცემად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 57 ვაჟა-ფშაველას, ლაგოდეხის რაიონის № 213 ლაგოდეხის, თერჯოლის რაიონის № 255 ჭოგნარის, ჩხოროწყუს რაიონის №. 345 ლესიჭინის და ქალაქ გაგრის № 370 კურორტის საარჩევნო ოლქებში კვირას, 1988 წლის 13 მარტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

10 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ო. ე. ჩერქეზიას თავმჯდომარეობით გაიმართა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა. განიხილეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგები, 1988 წელს მათი წარმატებული რეალიზაციის უზრუნველყოფის ამოცანები. ამ საკითხებზე მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ — რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. გ. ვარძელაშვილმა და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დ. ნ. დვალიშვილმა.

გასული წლის მუშაობის შედეგები მოწმობს, რომ სტიქიურ უბედურებათა მძიმე შედეგებისა და იმ სიძნელეთა მიუხედავად, რომლებიც ეკონომიკის ცალკეული სფეროების საქმიანობაში წარმოიქმნა ძველი მიდგომებისა და სტერეოტიპების მტკიცე მსხვრევის საჭიროებასთან დაკავშირებით, რესპუბლიკაში მიღწეულია საზოგადოებრივი წარმოების გარკვეული ზრდა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. ეროვნული შემოსავალი 1986 წელთან შედარებით გაიზარდა 2,5 პროცენტით, საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში კი ეს მაჩვენებელი 2,3 პროცენტია.

განხორციელდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან და სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების მასობრივად — 251 საწარმოში დანერგვასთან დაკავშირებით. ამის შედეგად გაძლიერდა შრომითი კოლექტივების ორიენტაცია საბოლოო, სახალხო-სამეურნეო შედეგებზე.

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით 98,2 პროცენტით შესრულდა, რაც 0,2 პროცენტით მეტია 1986 წლის მიღწეულ დონესთან შედარებით. შარშანდელთან შედარებით პროდუქციის უკმარმიწოდება შემცირდა რვა პროცენტითა და მეტად, იმ საწარმოთა ხვედრითი წილი კი, რომლებმაც უზრუნველყვეს სახელშეკრულებო მიწოდების ვალდებულებათა შესრულება, გაიზარდა 2 პროცენტით. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დავალება 1,9 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 110 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, ვალდებულება კი 50 მილიონი მანეთის პროდუქციას ითვალისწინებდა.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა შეასრულეს მარცვლეულის, ჩაის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის დამზადების გეგმები.

საგეგმო ტვირთზიდვასა და მგზავრთა გადაყვანას თავი გაართვა ყველა სახეობის ტრანსპორტმა, რკინიგზის ტრანსპორტის გარდა.

1987 წელს რესპუბლიკაში ფართოდ ხორციელდებოდა კაპიტალური მშენებლობა. 13 პროცენტით გაიზარდა მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის გამოყოფილი სახსრები. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების, საბინაო კოოპერატივთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 1 255,2 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები, ანუ 11,4 პროცენტით მეტი, ვიდრე 1986 წელს. გადაჭარბებით შესრულდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, კლუბებისა და კულტურის სახლების ჩაბარების დავალებანი.

ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლის გამოვლენისათვის მიზანდასახული მუშაობის მეოხებით დაძლეულია ზოგიერთი ობიექტური მიზეზით გამოწვეული ჩამორჩენა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდა შემოსავლის ნაწილში 101,2 პროცენტით, გასავლის ნაწილში — 98 პროცენტით.

ამავე დროს ეკონომიკაში მიღწეული შედეგების ანალიზი მოწმობს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში, ქალაქებსა და რაიონებში გარდაქმნა ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს და ყველა კოლექტივის საქმიანობას ვერ მოიცავს, განხორციელებული ღონისძიებანი კი ხშირად ვერ უზრუნველყოფენ არსებულ ნაკლოვანებათა სრულ აღმოფხვრას.

ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 803 სამრეწველო საწარმოდან და გაერთიანებიდან, სადაც მხედველობაში მიიღება პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებელი მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით, 134 საწარმო-გაერთიანებამ ვერ გაართვა თავი გეგმას და მომხმარებელს დააკლო 179 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ჩაიშალა კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების საგეგმო დავალებათა შესრულება. ყურძნის დამზადების დავალება მხოლოდ 78,1 პროცენტით შესრულდა, ხილისა — 90,8 პროცენტით, ციტრუსებისა — 55,7 პროცენტით. რესპუბლიკის 26 რაიონში შარშანდელ დონესთან შედარებით შემცირდა ხორცის დამზადება, 15 რაიონში — რძისა, 9 რაიონში — კარტოფილისა, 19 რაიონში — ბოსტნეულისა.

ბევრი გადასაწყვეტი პრობლემა და ნაკლია კაპიტალურ მშენებლობაში. არ შესრულებულა საექსპლოატაციოდ საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ჩაბარების წლიური გეგმები.

შარშან საგეგმო გაანგარიშებებთან შედარებით დაგვაკლდა ეროვნული შემოსავლის 255 მილიონი მანეთი, ანუ 2,6 პროცენტი. ამ თანხის უდიდესი ნაწილი დაგვაკლეს სოფლის მეურნეობამ და სამშენებლო კომპლექსმა.

ბევრმა სამინისტრომ და უწყებამ, საწარმომ და სამეურნეო ორგანიზაციამ გააუარესა საფინანსო საქმიანობის შედეგები, დაუშვა დიდი არამწარმოებლური ხარჯები, რეალიზაციის გარეშე დაუგეგმავი ზარალი. ყოველმა მეექვსე საწარმომ შარშან დაარღვია თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებანი.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად შეასრულეს 1987 წლის ბიუჯეტის წინაშე თავიანთი ვალდებულებანი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, სახაგრომრეწვმა, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ.

კვლავ დაძაბული სიტუაციაა ვაჭრობაში. საცალო საქონელბრუნვის წლიური დავალება ვაჭრობის სამინისტრომ 91,8 პროცენტით შეასრულა, სამომხმარებლო კოოპერაციამ კი 89,3 პროცენტით. რესპუბლიკის მოსახლეობას დააკლდა 511,5 მილიონი მანეთის საქონელი. შექმნილი ვითარების ძირითადი მიზეზებია სავაჭრო ორგანიზაციების კომერციული მუშაობის დაბალი დონე, რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ სახალხო მოხმარების საქონლის უკმარმიწოდება, არადამაკმაყოფილებელი სახელშეკრულებო დისციპლინა. ჩაიფუშა აგრეთვე მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევის საგეგმო დავალების შესრულება, რამაც საცალო საქონელბრუნვის გეგმის მნიშვნელოვან შეუსრულებლობასთან ერთად განსაზღვრა 408 მილიონი მანეთის ოდენობით ფულის ზეგეგმითი ემისიის საჭიროება.

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით 1988 წლის დამდეგიდანვე უნდა გაშლილიყო მიზანმიმართული ინიციატივიანი მუშაობა დაშვებული ჩამორჩენის დაძლევისათვის, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი აქტიურობა არ იგრძნობა. პირიქით, ზოგიერთი სამეურნეო ორგანო ცდილობს შეამციროს მათთვის დადგენილი წარმოების პროგრამა. კვლავ დაძაბულია რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობა.

ეს, უდავოა, უარყოფით გავლენას მოახდენს სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანობაზე, შეასუსტებს მის ზეგავლენას საწარმოო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია და ო. ვ. მელქაძე, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილე რ. ჰ. კონცელიძე, საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარე ო. ვ. ქვილითაია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. გ. ზუხბაია, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ო. ნ. სულაძე, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. ზ. მაყაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ო. ანდრიაძე, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. რ. საჯაია, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი დ. ვ. მანჯგალაძე, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ა. ო. მოვსესიანი.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს და სამეურნეო ორგანოებს მოსთხოვა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის დარგებში ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, უზრუნველყონ მათი შეთანხმებული და წარმატებული მუშაობა მთელი წლის განმავლობაში.

(საქინფორმი).

რადიკალური რეფორმა: სახელშეკრულებო დისციპლინა

შემკვეთი თქვენს იმედზეა

წლის დამდეგისათვის მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობს რესპუბლიკის 251 გაერთიანება და საწარმო, რომლებმაც იანვარში 339,7 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ეს მთელი მრეწველობის მიერ დამზადებული ნაწარმის 48,3 პროცენტია.

როგორც ხედავთ, მოცულობა საკმაოდ სოლიდურია და იმას მეტყველებს, რომ წლის პირველ თვეში თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასული საწარმოები დატვირთვით მუშაობდნენ. ეს ფაქტია, მაგრამ სწორია ისიც, რომ მათ ვერ შეასრულეს პროდუქციის მიწოდების ვალდებულება, რაც ეწინააღმდეგება სამეურნეო ანგარიშს, კანონს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ. არა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ეს მაჩვენებელი 0,2 პროცენტული პუნქტით კი გაიზარდა, მაგრამ იგი რესპუბლიკის მრეწველობაში მიღწეულ საშუალო დონეზე დაბალია.

მიუხედავად ამისა, უკვე წლის პირველ თვეში დამტკიცდა ახლებური მუშაობის სიცოცხლისუნარიანობა. მიაქციეთ ყურადღება: სამეურნეო ანგარიშზე გადასულ საწარმოებში პროდუქციის მატების მოცულობამ **29,6 მილიონი მანეთი, ესე იგი 7,8 პროცენტი შეადგინა**, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე მთლიანად მრეწველობაში.

საერთოდ, პროდუქციის მიწოდების ვალდებულება რესპუბლიკის მრეწველობამ რეალიზებულია 98,6 პროცენტით. შარშანდელ იანვართან შედარებით ამ მხრივ წინსვლა შესამჩნევია, თუმცა ეს საქმეს მთლიანად ვერ აღგვება. სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვია 68 გაერთიანებამ და საწარმომ. ეს შარშანდელთან შედარებით მეტია, მაინც დიდი ციფრია, საწარმოთა საერთო რაოდენობის 8,4 პროცენტია. **მომხმარებელს დააკლდა 10041 ათასი მანეთის პროდუქცია.** ფაქტია ისიც, რომ ზოგიერთ სამინისტროში, გაერთიანებაში, საწარმოში პროდუქციის მიწოდების ვალდებულების რეალიზაციის მაჩვენებელი შარშან მიღწეულ დონეზე დაბალიც კი აღმოჩნდა. მათ შორის არიან **საშენ მასალათა მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები, ქუთაისის მოტობლოკების ქარხნის საწარმოო გაერთიანება, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და თბილისის ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნები.**

როგორი მდგომარეობაა რესპუბლიკის მსუბუქ მრეწველობაში? არის გარკვეული ძვრები, პროდუქციის ვალდებულებით მიწოდების მაჩვენებელი შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ ჯერჯერობით საშუალო რესპუბლიკურზე დაბალია. განსაკუთრებით ალალტებენ ამ სამინისტროს **ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა, თბილისის „გლდანისა“ და ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებები, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატი.**

მრავალ სირთულეებს აწყდებიან **ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს** სამეურნეო ანგარიშზე გადასული და გადამსვლელი საწარმოები. მართალია, ამ ბოლო ხანს არცთუ ცოტა რამ გაკეთდა დარგის წინსვლისათვის, მაგრამ ჯერჯერობით საწარმოთა საერთო დონე, წარმოების კულტურა ვერა და ვერ შესაბამება დროის მოთხოვნებს. დაწყებულია დარგის ინდუსტრიალიზაცია, მისთვის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რაც ცოტა მოგვიანებით გამოიღებს ნაყოფს, მანამდე კი საჭიროა საქმისადმი ღრმად გააზრებული მიდგომა, მთელი რიგი ეკონომიკური, ორგანიზაციული, ტექნიკური ხასიათის საკითხების მოგვარება.

რაც შეეხება საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, მის მუშაობას აბრკოლებენ **კასპის ცემენტ-შიფერისა და მეტეხის საშენ მასალათა კომბინატები.** მათ ვერ შეასრულეს პროდუქციის მიწოდების ვალდებულება. პირველმა მათგანმა შესრულებას დააკლო 371 ათასი მანეთი, ხოლო მეორემ — 153 ათასი მანეთი.

კასპის ცემენტ-შიფერის ქარხანაში უნდა დაჩქარდეს მეხუთე ტექნოლოგიური ხაზის საექსპ-

ნუ დაადალატებთ მომხმარებელს

ლოატაციოდ გადაცემა. იგი 1983 წლიდან შენდება და, კაცმა არ იცის, როდის ჩადგება მწყობრში. მისი თავდაპირველი ამოქმედების ვადა იყო 1985 წელი, შემდეგ 1986 წელი, მაგრამ ხაზის მშენებლობა ვერც შარშან დამთავრდა. სამწუხაროდ, მიმდინარე წლის იანვრის დამლევისათვის ხაზის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადაც არ არის რეალური.

იანვარში შესრულდა ისეთი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის გამოშვების გეგმები, როგორიც არის ელექტროენერგია, თუჯი, მზა ნაგლინი და ფოლადის მილები, მაგისტრალური ელმავლები, სატვირთო ავტომობილები, ლითონსაჭრელი ჩარხები, ცვალებადი დენის ელექტროძრავები, საავტომობილო ბენზინი, მინერალური სასუქები, სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, ქიმიური ბოჭკო, სინთეზური სარეცხი საშუალებები, ფერადი გამოსახულების ტელევიზორები, გალვანური ელემენტები და ბატარეები, ტრიკოტაჟის ნაწარმი და სხვა.

ამასთან იმ 86 დასახელების სამრეწველო პროდუქციიდან, რომლებსაც რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკური კომიტეტი ყოველკვირეულ ანგარიშში ითვალისწინებს, გეგმა ვერ შესრულდა 27 სახეობის მიხედვით.

იანვრის დავალებით ნავარაუდევზე 76 ცალით ნაკლები გამოთვლითი და მმართველი კომპლექსი გამოუშვა, მაგალითად, თბილისის **„ელვა“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ, ხოლო ქუთაისის საავტომობილო ქარხნის** საწარმოო გაერთიანებამ გეგმის შესრულებას 196 ცალი მისაბმელი და ნახევრადმისაბმელი დააკლო. საკმაოდ დიდ ვალშია მომხმარებლის წინაშე **„საქელექტრომანქანის“** საწარმოო გაერთიანებაც. აქ იანვარში ავტომატიზაცია-მექანიზაციისათვის საჭირო მცირე სიმძლავრის ძრავები 12,4 ათასი ცალით ნაკლები დამზადდა. აგროსამრეწველო კომპლექსის გადამამუშავებელი დარგებისათვის **„საქსურსათმანქანის“** საწარმოო გაერთიანებამ ვერ უზრუნველყო 90 ათასი მანეთის ტექნოლოგიური დანადგარების მიწოდება. ცუდად აქვს საქმე **თბილისის საინსტრუმენტო ქარხანას.** აქ ვერ გამოუშვეს 264,9 ათასი მანეთის პროდუქცია. ვერ გაართვა თავი სადიზელო საწვავისა და **ნავთობბიტუმის გამოშვების გეგმას ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ.**

მართალია ზოგიერთმა ზემოჩამოთვლილმა სამინისტრომ, უწყებამ, გაერთიანებამ, ვერ უზრუნველყო ცალკეული სახეობის პროდუქციის გამოშვება და მისი მიწოდების გეგმის შესრულება, მაგრამ გარკვეული დადებითი ტენდენციები აქ მაინც დაისახა. როცა ამას ვამბობთ, ვხელმძღვანელობთ იმ ფაქტით, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 110,2 პროცენტი, ხოლო ადგილობრივ მრეწველობისა — 105,4 პროცენტი შეადგინა. მთელი 72,8 პროცენტით გაიზარდა წარმოების მოცულობა თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებებში, ხოლო ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის საწარმოო გაერთიანებაში — 37,5 პროცენტით. საგრძნობი მიღწევები აქვთ ამ ამხრივ „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებას და „ანალიზხელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებას, თბილისის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის და ზესტაფონის „საქკაბელის“, სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტულ ქარხნებსა და ზოგიერთ სხვებს.

დიახ, წარმოების მოცულობის ზრდა შეესაბამება ეკონომიკის განვითარების დაჩქარების სტრატეგიის მოთხოვნებს, მაგრამ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა, ნომენკლატურის მიხედვით პროდუქციის მიუწოდებლობა აბათილებს ყოველგვარ მიღწევას. სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა ხომ სამეურნეო ანგარიშზე მუშაობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

კანონში სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ ნათქვამია: საწარმომ მთლიანად უნდა შეასრულოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებანი პროდუქციის რაოდენობის ნომენკლატურის (ასორტიმენტის), ვადების, ხარისხის და სხვა პირობების მიხედვით. შეკვეთებისა და სხვა ხელშეკრულებების შესრულება საწარმოს საქმიანობისა და შრომითი კოლექტივების მატერიალური სტიმულირების უმთავრესი კრიტერიუმია.

ზ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ მიმომხილველი.

პრესკონფერენცია

პრობლემები რჩება

დაჩქარების სტრატეგიამ, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების დინამიზმმა, თვისებრივად ახალი სამართალდაცვითი ამოცანების მასშტაბურობამ და სირთულეებმ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებისაგან მოითხოვა მუშაობის სტილისა და მეთოდების შეცვლა. ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის შ. გორგოძის პრესკონფერენციაზე.

თუმცა მთლიანად აღინიშნება დამნაშავეობის კლება (შემცირდა მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პიროვნების ხელშეუხებლობის ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულობანი, მათ შორის მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება), მაგრამ გადასაწყვეტი საკითხები ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. მთელ რიგ ადგილებში კვლავ მაღალია დამნაშავეობის დონე, ნელა მტკიცდება მართლწესრიგი, სერიოზული ნაკლოვანებანია ლოთობის, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მკვლელობების, სხეულის დაზიანებისა და ხულიგნური გამოვლინებების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ყოფის სფეროში და, ძირითადად ლოთობის ნიადაგზე, რომელიც სულ უფრო მეტად ინაცვლებს საცხოვრებელ სექტორში. ამავე დროს ყოფის სფეროში სამართალდამრღვევებზე ზემოქმედების ეფექტიანობა მეტად მცირეა. უნდა ვეძებოთ საცხოვრებელ ადგილას მოსახლეობასთან მუშაობის ახალი ფორმები. კვლავ სერიოზული პრობლემაა ნარკომანია. შარშან შინაგან საქმეთა ორგანოებმა ამოიღეს 700 კილოგრამი ნარკოტიკული შხამი, გამოავლინეს ნარკოტიკების დაახლოებით 500 რეალიზატორი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს „ძნელად აღსაზრდელ“ მოზარდთა ბედი. ახლა პრაქტიკაშია სამინისტროს სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლებისათვის ძნელად აღსაზრდელი ბავშვების მიმაგრება, მთავარია ახლა ეს საქმე უბრალო ფორმალობად არ იქცეს.

ჟურნალისტებთან საუბარში მინისტრი შეეხო სამინისტროს სისტემაში, კერძოდ, შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს მუშაობის გარდაქმნის საკითხებს, სადაც, როგორც ცნობილია, ახლო წარსულში გამოვლინდა მრავალი დარღვევა. ახლა მდგომარეობა სწორდება.

(დასასრული)

ცხადნენ უცხოეთში სამოგზაუროდ... მანერებიც ინტელიგენტურად დაეწყნა, ფოტო და ტელეკამერასთან სახალხო არტისტივით თავდაჯერებულად ეჭირა თავი, ხმაც დაიყენა, მის მიერ შემოთავაზებულ ტექსტებს ჩასწორებაც კი აღარ სჭირდებოდა. სამაგიეროდ, 15 დეტალს ძლივსღა ჩარხავდა. მერე ამასაც დაანება თავი. საწარმოში იშვიათად თუ შეივლიდა, ისიც მხოლოდ იმისათვის, რომ ჟურნალისტებისათვის ინტერვიუ მიეცა, ან ახალი საზოგადოებრივი დავალებები მიეღო... ასე გახდა გამრჯე მუშაკაცი თეთრხელება „საზოგადო მოღვაწე“. ნამდვილი მუშები კი, რომლებიც გეგმას ასრულებდნენ და აჭარბებდნენ კიდეც, ხმამაღლა თუ არა, ჩუმ-ჩუმად ბრაზობდნენ, ყველაზე ცოტას მუშაობს და ყველაზე მეტი დაფასება მაგას აქვსო, მოწინავეს კი ვეღარაფერს უბედავდნენ, რადგან ისეთი მაღალი მწვერვალებისათვის მიეღწია, სადაც ჩვეულებრივი მოკვდავი ფეხს დადგმას ვეღარ მოახერხებდა. ქარხანას ნამდვილი მოწინავე სჭირდება და არა ლეგენდა მოწინავეზე, ხშირად უსაყვედურიათ მუშებს.

— ადრე ასე ხდებოდა. არჩევნების წინ დაგვირეკავდნენ და გვეტყოდნენ, მოგვეცით დეპუტატების კანდიდატურები, ოღონდ ოთხი „ეს“ იყოს, ოთხი „ეს“ და ათი კი „ის“. აქედან სამი აუცილებლად ქალი უნდა იყოს, „ლაპარაკი“ შეეძლოთ და სასურველია ფოტოგენიური სახეებიც ჰქონდეთ. ასეთი „არჩევნების“ დროს უფროსების პირადი სიმპათიებიც გარკვეულ როლს ასრულებდა. ესე იგი, იმის თქმა მინდა, რომ მუშათა კლასს თითქმის არაფერს ეკითხებოდნენ, თუ ეკითხებოდნენ, ისიც ფორმალურად, და მუშათა კლასიც მორჩილად თავს უქნევდა. წლების მანძილზე ხალხი მიეჩვია დუმილს და მორჩილებას. ჩვენს საამქროში არის მოწინავე, კარგი ბიჭი, პირადად მის მიმართ არავითარი პრეტენზია არა მაქვს. ხალხიც პატივს სცემს, რადგან ნაღდი კაცია, ვფიქრობ, ასეთი უნდა იყოს ნამდვილი მოწინავე. ალბათ, შეხვდებით და დანარჩენს ის უკეთ გეტყვით.

— იმ დანარჩენ კანდიდატებს, რომლებიც შენთან ერთად დაასახელეს, არა შურთ შენი? — შევცვალე საუბრის თემა.

არა მაგრამ ბევრს გაუკვირდა ამოდენა გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის მდივანი საამქროს უფროსობაზე როგორ დათანხმდიო.

— ერიპა, გამოდის, რომ დაუქვეითებიხართ.

— კარიერისტებისთვის დაქვეითებას ნიშნავს.

— მაშ არა ხარ კარიერისტი?

— არა! — მოკლედ მიპასუხა და ფერმკრთალ სახეზე სიწითლემ გადაურბინა.

— კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნობაზე არ გიფიქრია?

— ჰმ, — გაეცინა — რაიკომის მდივნობაზე მიფიქრია.

— როგორ ფიქრობ, კომკავშირში კიდევ არიან კარიერისტები?

— კომკავშირში ძალიან კარგი ბიჭები არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გამოერევიან ხოლმე კარიერისტები.

— რა ეშველებათ, მერე?

— მართალი გითხრათ, მეცოდება ეს ხალხი. დაჩაგრულთა კატეგორიაა.

— რატომ?

— წარმოიდგინეთ, რამდენი დამცირება უნდა აიტანონ ვიდრე კარიერის სასურველ საფეხურს მიაღწევენ. კარიერისტი ბუნებით მლიქვნელია, თავისი მიზნის მისაღწევად ნებისმიერ დამცირებას აიტანს. აი, ასეა მაგათი საქმე. საცოდავი ხალხია, მაშ, რა არის.

— ახლა ისევ არაკარიერისტ მუშაკებს დავუბრუნდეთ. მე ასე მესახება ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი: უწინარესად ქარხნის ინტერესების დამცველი უნდა იყოს. უჭირს ქარხანას? გეგმას ვერ ასრულებს? არავითარი სხვა საქმე არ უნდა არსებობდეს მისთვის, თავის კომკავშირელებიანად საწარმოსთვის, ამ უმნიშვნელოვანესი საქმისათვის უნდა დაირაზმოს.

— ჰა, ჰა! — გაეცინა ნოდარს. — ჩემს სატკივარს შეეხეთ. როცა რაიკომის დავალებებს არ ვასრულებდი და გაერთიანებისათვის ყველაზე კრიტიკულ ჟამს ჩემი კომკავშირელებიანად დღეში 10-12 საათი საამქროდან არ გამოვდიოდი, რაიკომში ცუდი კაცის სახელი დამივარდა, სულ არ გვეკარება, ჩვენს დავალებებს არ ასრულებსო.

— მაინც, რა დავალებები იყო ამისთანა?

— არ ღირს ამაზე ლაპარაკი. ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

— მაინც, რა დავალება იყო ამისთანა? აღარ მოვეშვი ნოდარს.

— სხვადასხვა. წარმოიდგინეთ ასეთი რამ, გაერთიანება ჩამორჩენილია, გეგმებს ვერ ასრულებს, ყოველი კვალიფიციური მუშა ოქროდ ფასობს, ამ დროს გირეკავენ და გეუბნებიან: ორმოცი კაცი უნდა გამოიყვანო ღონისძიების შესავსებად.

— ეგ რას ნიშნავს?

— რას ნიშნავს და, მოაწყობენ ულიმღამო ღონისძიებებს, ისე, მოვალეობის მოსახდელად. ასეთი ღონისძიებები არავის აინტერესებდა და ჩვენც იძულებითი წესით მიგვყავდა ქარხნიდან მუშები, პარტერის შესავსებად, სპორტის სასახლეში, ფილარმონიაში...

— მერე ვის აყრიდით თვალში ნაცარს?

ნოდარმა მხრები აიჩეჩა და ხანმოკლე დუმილის შემდეგ დაუმატა: — ეგ არ ვიცი, მაგრამ ვისაც რეგულარულად გამოჰყავდა ხალხი, ვინც ყვავილებსაც დროულად მოულობდა, ფანქრებსაც, რვეულებსაც და ასე შემდეგ, ის აქტიურ მუშაკად ითვლებოდა და კარიერის საფეხურებზეც საკმაოდ სწრაფად მიაბიჯებდა...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ახლა ასე აღარ იქნება... ყოველ შემთხვევაში აღარ უნდა იყოს... — ნოდარმა მშვიდად შემომხედა.

— საამქროში უბინაო ბევრია? — უკვე მერამდენედ შევცვალე საუბრის თემა.

— ზოგი ოც წელზე მეტია ბინის რიგში დგას.

— რას უპირებ იმ ხალხს?

— არ ვიცი, არ ვიცი...

— პირადად შენ თუ გაქვს ბინა?

— მე მშობლებთან ვცხოვრობ... უბინაობას არ ვუჩივი.

— ალბათ უცოლო ხართ?

— მე და მეუღლე ბავშვს ველოდებით.

— მაშ, ყველაფრით კმაყოფილი ხარ?

— ბევრი რამ მაკლია, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებ, რომ ჯერ ოცდაოთხი წლისა ვარ.

— როგორ გესახება გარდაქმნა?

— ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

— ადრე არ აკეთებდნენ?

საამქროს უფროსი 24 წლისა

— არ აკეთებდნენ, ან ნახევრად აკეთებდნენ.

— ეს ქარხანა 50 წელია არსებობს, მაშ, როგორღა უშვებდა ჩარხებს? მე მხოლოდ ქარხანას არ ვგულისხმობ, პარტიას ვგულისხმობ, კომკავშირს...

— რაც შეეხება ჩარხების გამოშვებას, ვაი, იმ გამოშვებას, ხშირად მესამე საამქროს ოსტატები სხვა საამქროებში მივდიოდით, იქ მუშები აკლდათ და ჩვენი ხელით ვჩარხავდით დეტალებს. ამ დროს ჩვენი მუშები უმეთვალყურეოდ რჩებოდნენ...

— როგორ გესმის გარდაქმნა? ოღონდ, გულახდილად.

— მე ჩემი თავის გარდაქმნის რწმენა მაქვს, უფრო სწორად, ვფიქრობ, რა გვარად მჭირდება. მაინც მგონია, რომ ყველამ თავის გულში უნდა ჩაიხედოს, ყველამ... „გარდაქმნის“ ცნება მოსაბეზრებელ ლოზუნგად არ უნდა გავიხადოთ.

— იგრძნო საამქრომ ახალი უფროსის ხელი? დადებითი ძვრები თუ შეიმჩნევა ამ ორი თვის მანძილზე?

— ხალხს კითხეთ, თუნდაც იმ მემონტაჟეს, არჩევნების დროს ჩემს კანდიდატურაზე თავი რომ შეიკავა... ნებისმიერ მუშას კითხეთ.

ნოდარმა საათს დახედა — დირექტორის მოადგილესთან თათბირი უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაციის შედეგებზე, მეჩქარებაო, — დამემშვიდობა და გასასვლელისკენ გაიქცა.

მოვძებნე ის ქალი არჩევნების დროს თავი რომ შეიკავა. მემონტაჟე ვალენტინა ძაგოევამ თავისი სათქმელი მოკლედ მითხრა.

— ნოდარი კარგი ოსტატი იყო, იცოდა თავისი საქმე, მაგრამ ამხელა საამქროს უფროსობას თუ შეძლებდა ეჭვი მეპარებოდა და იმიტომ შევიკავე თავი.

— ახლა რას ფიქრობთ!

— მართალია ჯერ მხოლოდ ორი თვე გავიდა, მაგრამ ამ მოკლე დროშიც ბევრი რამ გააკეთა. მერე ძაგოევამ თვალები მოწკურა და გამომცდელად შემომხედა — თქვენ საიდან იცით, რომ თავი შევიკავე?

— პრესამ ყველაფერი იცის! — წავიტრაბახე.

— მაშ, ისიც გეცოდინებათ ჩვენი ქარხნის წინ ტრამვაისა და ავტობუსების უკანასკნელი გაჩერება რომ არის.

— ეგეც ვიცით.

— ის თუ იცით, იქ არავითარი წესრიგი რომ არ არის, მძღოლები და ვატმანები უკანა და შუა კარს არ აღებენ, ვდგავართ და ვუცდით როდის დაიცლება ისეთი გრძელი ავტობუსი, როგორიც 64-ე მარშრუტია!

— ეგ არ არის „საამქროს უფროსის თემა“

— გარდაქმნის თემა ხომ არის? ჰოდა დაბეჭდეთ გაზეთში, იქნებ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში ვინმემ წაიკითხოს და მოგვაქციოს ყურადღება, თორემ ამ ქაოსის გამო ხშირად სამსახურში ვიგვიანებთ, შინაც გვიან ვბრუნდებით.

— სხვა პრეტენზიები ხომ არა გაქვთ?

— არა.

— შორი-ახლოს მურმან ორაგველიძე მუშაობდა. ეს ის მოწინავე გახლავთ, ნოდარმა რომ თქვა, საამქროში ერთი მოწინავე გვყავს და იმის მიმართ არაფერი მაქვს საპრეტენზიოო. ამ საამქროში ახლა მოწინავე ბევრია, მაგრამ, ორაგველიძე რომ ყველაზე ცნობილი მოწინავეა; ამაზე მეორე აზრი არ არსებობს.

— მურმან, რამდენი წელია რაც ამ გაერთიანებაში მუშაობთ?

— 1967 წლიდან.

— გული არ გწყდებათ 24 წლის ბიჭი უფროსად რომ დაგინიშნეს?

— არავის დაუნიშნავს, თვითონ ავირჩიეთ.

— ნოდარი ჩემი უბნის ოსტატი იყო. ამ სამიოდე წლის წინათ მასთან ერთად გაერთიანებაში კიდევ ექვსი უმაღლესდამთავრებული მოვიდა, საწარმოს კი მხოლოდ ნოდარი შემორჩა. ფიზიკურად დევგმირს არ ჩამოჰგავს, მაგრამ ძლიერი ნებისყოფის პატრონია და, რაც მთავარია, უყვარს მუშათა კოლექტივი. საქმე იცის, დიდ-პატარას ცნობს, ამის გამო მუშებსაც შეუყვარდათ. როცა პარტიაში ვღებულობდით, მისი ერთ-ერთი რეკომენდატორი მე ვიყავი. სხვათა შორის, ნოდარი რომ საამქროს უფროსი გახდა, ვიღაცამ ზემდგომ ორგანოებში საჩივარი გაგზავნა, თანაც ამ საჩივარს ჩემი გვარი და სახელი მოაწერა.

— რას ჩიოდნენ?

— ნოდარი პროტექციით დააწინაურეს, ზურგი აქვს და იმიტომო! ნოდარი არ არის მაგის კაცი. პირადად ჩემთვის რომ შემოეთავაზებინათ უფროსობა, თავს შევიკავებდი.

— რატომ?

— ჩამორჩენილი საამქროს უფროსობას ეხუმრები? ნოდარმა კი გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის მდივნობა დათმო და დაქვეითებას დათანხმდა, თანაც — საკუთარი სურვილით. მე თუ მკითხავ, აი, ამას ჰქვია გარდაქმნა, კაცმა თავისი ადგილი მოძებნა! შედარებით ძნელი და რანგითაც ცოტა დაბალი, მაგრამ ხომ მოძებნა. ამას ვაჟკაცობა უნდა. ბევრ პარტიულ და კომკავშირულ მუშაკს აკლია ასეთი ვაჟკაცობა. კარიერიზმი და ვაჟკაცობა ერთმანეთს ვერ ჰგუობს.

— ერთხელ, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ტელეგადაცემას რომ ვამზადებდი, საკმაოდ ტიტულოვანი მუშის ინტერვიუ ავიღე. როცა დავამთავრე, ყური მოვკარი, მუშები ლაპარაკობდნენ: რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, თითქოს მხოლოდ ეს კაცი ადნობდეს ამდენ ლითონს, ჩვენ კი არაფერს ვაკეთებთო... „ტელევარსკვლავად“ აქციეს ჟურნალისტებმაო!

— მიგიხვდით, რისი თქმაც გინდათ.

— სხვათა შორის, ნოდარს მოერიდა ამ კითხვაზე ბოლომდე პასუხის გაცემა.

— გასაგებიც არის, რატომ მოერიდა... მეც ვიყავი უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, და რომ არ ყოფილიყო ლაპარაკი, ორაგველიძე უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, ორაგველიძე პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ამთავრებსო, ავდექი და სწავლას თავი დავანებე... კიდევ რისი თქმა მინდა, იცით, სანამ მუშაზე რაიმეს დაწერას, ან სურათის გადაღებას დააპირებდეთ, ჯერ კოლექტივს ჰკითხეთ, თუ იმსახურებს ამას ის კაცი. რაკი უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაზე უკეთესია. არ არის აგრე. ადამიანი მთელი დღე პიჯაკში გამოწყობილი მიმოდის ქათქათა პერანგით, თავს იწონებს, ჩვენ კი მას ვაღმერთებთ. მის გვერდზე მდგომი არ უნდა დაიჩაგროს, არ უნდა დაიკარგოს. ნუ მივაწერთ ყველას საქმეს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ზოგჯერ მის გვერდზე მდგომი მშრომელი კაციც გამოვაჩინოთ...

— რამეზე თუ გითქვამთ ცხოვრებაში უარი?

— როგორ არა. ქალაქის საბჭო ბინას მაძლევდა, ჩემი ბრიგადის წევრი გურამ ჭიჭინაძე კი ჩემზე გაჭირვებული იყო და დავუთმე. მსუბუქ ავტომობილს მაძლევდნენ და, ისიც სხვა ბრიგადის წევრს დავუთმე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ხალხს არ ეთქვა, ყველაფერი ორაგველიძესო? ასეთი რამ რომ თქვან ჩემზე, იმ დღესვე წავალ საწარმოდან.

— რა უმთავრესი პრობლემა აქვს დღეისათვის თქვენი საამქროს უფროსს?

— ჩვენმა გაერთიანებამ 160 ჩარხი დააკლო სოფლის მეურნეობას. თითო ჩარხი 9 ათასი მანეთი ღირს, ჩამორჩენა უნდა დავძლიოთ, ეს არის უმთავრესი პრობლემა... ადრე მხოლოდ წუნს ვუშვებდით, ახლა თვითდაფინანსებაზე გადავედით, თუ წუნს გავაკეთებთ, ჩვენ ჯიბეს დააკლდება. ხალხმა შეიგნო ეს და გამოფხიზლდა. მოგება ექნება გაერთიანებას, მეტს წაიღებ სახლში, არ ექნება მოგება და, ჩემს ჯიბეს და ჩემს ოჯახს დააკლდება.

— კმაყოფილია ხალხი გარდაქმნით?

— გარდაქმნისა, იცით, ვის ეშინია, ვინც გარდაქმნამდეც არ მუშაობდა. მე არაფრისა მეშინია, არც ნოდარ ჩხოლარიას ეშინია. ის ხალხი, თითო-ოროლა რომ არიან, ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებენ. დრო მოვა, ისინი წავლენ ქარხნიდან, ჩვენ კი დავრჩებით... დავრჩებით... კიდევ, იცით, რისი თქმა მინდა, დღეს რომ ამ უბედურ დღეში ვართ, იმის ბრალია, რომ თავის დროზე კადრებს სათანადო შეფასება არ მივეცით, ძმაბიჭობით ხალხს პარტიაში ვიღებდით.

— სად არის დღეს ის ხალხი?

— გაიკეთეს კარიერა და წავიდნენ... პარტიაში ისინი უნდა მიგველო, ვინც ჩვენს გვერდით დარჩებოდა, ვინც მხარში ამოგვიდგებოდა... კაცი უნდა დაწინაურდეს, მაგრამ ღალატით არა, კაცობით უნდა დაწინაურდეს და ადამიანი ერქვას.

საამქროს ღია კარებში ეზოს ნაწილი მოჩანდა. გარეთ წვიმდა. ორაგველიძეს დავემშვიდობე და ეზოში გამოვედი.

შესვენება დაიწყო, გასასვლელისკენ მიმავალს სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ორი ხანდაზმული კაცი წამომეწია.

— კორესპონდენტი ხართ? — მკითხა ერთ-ერთმა.

— დიახ.

— ნოდარისგან კარგი საამქროს უფროსი დადგება.

— ეგ იმისთანა ყოჩაღი ბიჭია, ბევრს მიაღწევს, — დაუმატა მეორემ.

— ძალიან ახალგაზრდა ხომ არ არის? — შევაპარე.

— ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე რომ არის, სწორედ ამიტომ ივარგებს. რაც მთავარია მონდომებულია, მაგის ტოლა ბიჭები უსაქმურად დადიან, მაგას კი, ხედავთ, რამოდენა ნდობა გამოუცხადა ხალხმა.

— რომ გაუჭირდეს?

— გაუჭირდება და აქ არა ვართ?, ვეტერანებს ვინაობა გამოვკითხე, ერთ-ერთი ამ საამქროს ყოფილი უფროსი, ნოდარის წინამორბედი, მიხეილ ადუაშვილი გამოდგა. ბატონ მიხეილის გულახდილობით გათამამებული, გავკადნიერდი და ვკითხე — რა აუცილებელი თვისება აქვს საამქროს ახალ უფროსს, ის, რაც თქვენ არ გქონდათ?

ბატონმა მიხეილმა გაიღიმა, და ისე, რომ ხმაში წყენა კი არ შეპარვია, მიპასუხა:

— უფრო მომთხოვნია მე კი ხათრიანი ვიყავი...

თამაზ ჭეიშვილი.

• • •

სურათზე: ბრიგადირი რ. ორაგველიძე და ნ. ჩხოლარია.

ფ. კრიმსკის ფოტო.

გუშინ; დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

კლუბი — „გარდაქმნა და ჩვენ“

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის პარტიის ხელვაჩაურის რაიკომში შეიქმნა სადისკუსიო კლუბი „გარდაქმნა და ჩვენ“. კლუბს აქვს ხელმძღვანელი ორგანო და წესდება.

რა არის კლუბის მიზანი?

ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ პარტიის მიერ შემუშავებული გეგმები გარდაქმნის განხორციელებლად, სასიკეთო გავლენა მოახდინონ შრომითი კოლექტივებზე, იზრუნონ მშრომელთა იდეოლოგიურ უზრუნველყოფაზე.

კლუბის მეცადინეობის პირველ სადისკუსიო თემად დაიგეგმა „გარდაქმნა და დემოკრატია“.

▼▼

სოფლის ახალშენებლობანი

ციხისძირი ქობულეთის რაიონის ერთ-ერთი ღონიერი სოფელია. კოლმეურნეობის დანაზოგებით აშენდა და ახლახან ჩაბარდა ორსართულიანი კაპიტალური შენობა ცენტრალური გათბობით, სადაც დაბინავდა სოფლის ამბულატორია.

ახალ ამბულატორიაში მრავალი კაბინეტია, მათ შორის სტომატოლოგის, პედიატრის, მეან-გინეკოლოგის და სხვა. ამასთანავე კოლმეურნეობამ ამბულატორიის მოსაწყობად შეიძინა 8 ათასი მანეთის ინვენტარი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ კი მოსახლეობის ბინაზე მომსახურების მიზნით მათ სპეციალური ავტოტრანსპორტი გამოუყო.

▼▼

საავადმყოფოს ხარაჩოები ჩამოხსნეს

თერჯოლის რაიონში ჯეროვანი ყურადღება ექცევა სოფლად სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

ამ ბოლო დროს ახალ კეთილმოწყობილ ბინაში გადავიდა სოფელ საზანოს საექიმო ამბულატორია, კაპიტალურად შეკეთდა სოფელ სიქთარვის, რუფოთის, ქვედა სიმონეთის, კავხჭირისა და თუზის ამბულატორიები.

ამ დღეებში კი ხარაჩოები ჩამოეხსნა ჩხარის ახალ საუბნო საავადმყოფოს, სადაც მოთავსებულია კლინიკური ლაბორატორია, რენტგენის, ფიზიო-თერაპიული და სტომატოლოგიური კაბინეტები, ავადმყოფთა პალატები სანიტარიული ნორმის მიხედვით არის აგებული.

საავადმყოფო აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო დანადგარ-მოწყობილობით, ახალი ინვენტარით.

იგი გარდა ჩხარის მოსახლეობისა, მოემსახურება გარშემომდებარე სოფლების ძევრის, ახალი თერჯოლის, გოგნის და ალისუბნის მოსახლეობას.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ნოდარ დავითის ძე ანდღულაძე.**

პარტიულ, სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ გენერალური დირექტორი **როდენ ბენიამინის ძე მემარნიშვილი.**

სოციალური სფერო

მეორე ახალმოსახლეობა

ფაქტი კომენტარით

თბილისის საქალაქო აღმასკომის გადაწყვეტილებით დამტკიცებულია დებულება, რომელიც თბილისში ინდივიდუალური სახლების მფლობელებს უფლებას აძლევს მიაშენონ და დააშენონ მათ სათავსები. ამავე დებულებაში ლაპარაკია სახელმწიფო და კოოპერაციულ სახლებზე ლოჯების, აივნებისა და სხვა დამხმარე სათავსების მიშენების შესახებ.

ამ დებულების პროექტი ყოველმხრივ განიხილეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, სახმშენის, ფინანსთა სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საქინფორმის კორესპონდენტმა მიმართა ქალაქის მთავარ არქიტექტორს შ. ყავლაშვილს თხოვნით ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— რას აძლევს ახალი დებულება ინდივიდუალური სახლების მფლობელებს?

— დავიწყებ იმით, რომ 1960 წლიდან მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში აკრძალული იყო სახლებზე საცხოვრებელი ფართობის მიშენება, ნებადართული იყო მხოლოდ დამხმარე სათავსების მშენებლობა, რომლებსაც ხშირად საცხოვრებლად ხმარობდნენ. და ეს გასაგებია — ოჯახები იზრდება და ისინი ვიწროდ არიან ოდესღაც ფართო ოთახებში. მაგრამ ეს მინაშენი ხელს არ უწყობდა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ახალი დებულება კი საშუალებას აძლევს მფლობელებს ააშენონ ხელახლა ან არსებული სახლი გაზარდონ 136 კვადრატულ მეტრამდე, რომელთაგან საცხოვრებელი ფართობი 96 კვადრატული მეტრი იქნება. დიდ ოჯახებს დამატებით შეუძლიათ მიაშენონ საცხოვრებელი ფართობი ოჯახის თითოეულ წევრზე თორმეტი კვადრატული მეტრის ანგარიშით.

— მაგრამ, თუ ინდივიდუალური სახლები უვარგისი გახდა?

— მის ადგილზე მფლობელს შეუძლია აიშენოს ახალი სახლი ანდა მისი თანხმობით, თუ არის ტერიტორია, ჩამოაყალიბოს საბინაო-სამშენებლო კოლექტივი და გახდეს მისი წევრი. მაგრამ ასეთი კოლექტივების შექმნის დროს უპირატესობა ენიჭებათ ოჯახებს, რომლებიც ავარიულ სახლებში, რეკონსტრუქციის ზონებში ცხოვრობენ, მოქალაქეებს, რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებიან და შეღავათებით სარგებლობენ ბინით უზრუნველყოფაში. მისი წევრი შეუძლიათ გახდნენ ისინიც, ვინც სახელმწიფო ან კოოპერაციულ სახლებში ცხოვრობს, მაგრამ იმ პირობით, თუ თავიანთ ბინებს სახლის მშენებლობის დაწყებამდე ჩააბარებენ.

— თბილისში არის სახლების კატეგორია, რომლებიც უკანონოდ ითვლება, ეხება თუ არა ახალი დებულება მათ?

— უკანონოდ ითვლება სახლები, რომლებიც აშენეს თვითნებურად მითვისებულ ნაკვეთებზე ან შეთანხმებული პროექტების გარეშე. ქალაქში ათასობით ასეთი სახლია. და თუმცა მათი მფლობელები უკვე დიდი ხანია ძველ მცხოვრებლებად ითვლიბიან, ახალი დებულებით მათ ნება არა აქვთ მიაშენონ რაიმე. მაგრამ თითოეულ მათგანს ეძლევა უფლება გამოეყოს ამ სახლს და გახდეს საბინაო-სამშენებლო კოლექტივის წევრი.

— რა უფლებები ენიჭებათ ამ დებულებით მოქალაქეებს, რომლებიც სახელმწიფო და კოოპერაციულ სახლებში ცხოვრობენ?

— თბილისელებს შორის დადის ხმა, თითქოს ლოჯიებისა და აივნების გაფართოება შეიძლება ყველა არსებულ სახლში სართულიანობის მიუხედავად. ეს მთლად ასე არ არის. სახლებში, რომლებსაც არ აქვთ ლოჯიები და აივნები, ნებადართულია მათი მიშენება. შეიძლება გაფართოვდეს ისინი იმ შენობებშიც, სადაც ლოჯიებისა და აივნების ზომა ნორმატიულზე ნაკლებია. ხუთსართულიანებზე მაღალ სახლებში გაფართოვება არ დაიშვება არქიტექტურულ-საქალაქთმშენებლო მოსაზრებისა და მიშენების წარმოების ტექნიკურ სირთულეთა გათვალისწინებით. ნებადართული არ არის აგრეთვე ლოჯიებისა და აივნების გაფართოება დიდპანელიან საცხოვრებელ სახლებში (სართულიანობის მიუხედავად), რომელთა კონსტრუქციული გადაწყვეტა გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას მათი მდგრადობის შესუსტებასთან დაკავშირებით.

— ვისი სახსრებით და ვინ აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს?

მათს საფასურს იხდის თვით ინდივიდუალური სახლის მფლობელი, ხოლო სახელმწიფო სექტორსა და კოოპერაციულ სახლებში სამუშაოები სრულდება მობინადრეთა სახსრებით. სამუშაოებს აწარმოებენ კოოპერაციული სამშენებლო ორგანიზაციები და სახელმწიფო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოები, ტრესტები და კანტორები.

წინადადება

დავუბრუნოთ სვანეთს თვითმფრინავი

წერილი „კომუნისტს"

ზემო სვანეთი თავისი ბუნებრივ-კლიმატური და ეკოლოგიური პირობებით განსხვავდება საქართველოს სხვა მაღალმთიანი რაიონებისგან. დასახლებული პუნქტები აქ ზღვის დონიდან 1500-2000 მეტრამდე სიმაღლეზეა განლაგებული. ამასთან იგი ყველაზე დიდი რაიონია რესპუბლიკაში, მისი ფართობი 3044 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს.

დიახ, ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ მართალია ისიც, რომ სვანეთის „გარე სამყაროსთან" კომუნიკაციის ერთადერთი საშუალებაა საავტომობილო გზა, რომლის ნორმალური ექსპლოატაცია წელიწადის დროსა და ამინდზეა დამოკიდებული.

მესტიიდან ქუთაისამდე სტაბილური საჰაერო კავშირი ოცდაათიან წლებში დამყარდა. მიმოდიოდნენ პო-2, ხოლო ცოტა მოგვიანებით — რ-5 სერიის თვითმფრინავები. ასე იყო სამამულო ომის დაწყებამდე და მისი დამთავრების შემდეგაც. დროთა განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა როგორც მგზავრთა გადაყვანის, ისე ტვირთზიდვის მოცულობა. ავიატრასაზე ამოქმედდნენ უფრო საიმედო ან-2 სერიის თვითმფრინავები.

80-იანი წლების დამდეგს ნათელი გახდა, რომ ან-2 სერიის თვითმფრინავები უკვე ვეღარ უზრუნველყოფდნენ სვანეთის მოთხოვნას და დაისვა უფრო თანამედროვე თვითმფრინავებით რეგიონის უზრუნველყოფის საკითხი.

თანამედროვე დიდი სიჩქარის თვითმფრინავებს, როგორც ცნობილია, სათანადო აეროდრომიც სჭირდება. გაითვალისწინა რა ეს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ გადაწყვიტა მესტიის აეროპორტის გაფართოება-მოდერნიზაცია, ახალი საექსპლოატაციო-ტექნიკური შენობების აგება. ამიტომ 1984 წლიდან მესტიის აეროპორტი დროებით დაიკეტა სარეკონსტრუქციოდ. ჩანაფიქრით აქ უნდა ეფრინა ან-28 სერიის რეაქტიულ თვითმფრინავს, რომელსაც 20 მგზავრი გადაჰყავს და საათში 500 კილომეტრ სიჩქარეს ანვითარებს.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები თავდაპირველად თითქოს ნორმალურად წარიმართა. მოზიდეს დიდძალი ქვიან-კლდოვანი გრუნტი, რომელიც ასაფრენ-დასაშვებ ხაზს დააყარეს, რამდენიმე მეტრით აამაღლეს იგი და ამით დაამთავრეს. ასაფრენ-დასაშვები „ბილიკი" იმდენად ამაღლდა, რომ ან-2 ტიპის თვითმფრინავების მიღებაც შეუძლებელი გახდა. თანაც ათობით ჰექტარი მეცხოველეობისათვის საჭირო საუკეთესო სათიბები დაიმარხა გრუნტის ქვეშ.

დაიკეტა აეროპორტი და აღარ მუშაობენ მესტია-ქუთაისის, მესტია-სოხუმის, მესტია-ზუგდიდისა და, რაღა თქმა უნდა, მესტია-თბილისის საავიაციო მარშრუტები. აეროპორტის წესრიგში მოსაყვანად კი არავის სცალია.

ჰოდა, დაკარგა მესტიამ საავიაციო მომსახურება. ახალი ტიპის კი არა, აქ ან-2 სერიის თვითმფრინავებიც ვეღარ ამოდიან. შარშანდელი იანვარ-თებერვლის სტიქიის დროს მესტია უაეროდრომოდ აღმოჩნდა, ვერტმფრენები რომ არა უბედურება მეტი იქნებოდა. არავინ იცის, რას გვიმზადებს ზამთარი მომავალშიც.

მესტიის აეროპორტი განლაგებული იყო საუკეთესო სათიბებზე, რომლებიც განადგურდა რეკონსტრუქციის პროცესში. ამიტომ საჭიროა ამ ფართობების აღდგენა-რეკულტივაცია.

გ. ნიჟარაძე,
მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.

რედაქციისაგან: კარგი იქნება, თუ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო გამოეხმაურება ამ წერილს და უპასუხებს „კომუნისტის" მკითხველს, დამთავრდება თუ არა მესტიის აეროპორტის რეკონსტრუქცია, დაუბრუნდება თუ არა სვანეთს თვითმფრინავი.

ქმედითობა

აგრომშენის მეწინავეობანი

„კომუნისტი", 1987 წლის 30 დეკემბერი.

„კომუნისტის" კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს საქსახაგრომრეწვის რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო გაერთიანება „აგრომშენის" თავმჯდომარე ი. ხარატიშვილი:

წერილში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები სიმართლეს შეეფერება. მისი საჯაროდ განხილვის შემდეგ აღნიშნულ ჩამორჩენა-ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ დაისახა და განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

წლის ბოლოს, ყოველდღე დილის 8 საათიდან იწყებოდა სელექტორული თათბირები, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც სამშენებლო, ისე საშენი მასალების მომწოდებელი ორგანიზაციები. ამგვარი მუშაობის მეოხებით ოპერატიულად მოგვარდა ბევრი საჭირბოროტო საკითხი, განხორციელდა ესა თუ ის აუცილებელი ღონისძიება. ამის შედეგად ის ობიექტები, რომელთა მშენებლობის გაჭიანურებაზეც წერილში იყო ლაპარაკი, კერძოდ, მახარაძის საკონსერვო ქარხანა და ცხინვალის კომბინირებული საკვების ქარხანა, სხვა ობიექტებთან ერთად, დროულად გადაეცა საექსპლოატაციოდ.

სახაგრომრეწვის მშენებლობის მთელ კონვეიერში 1988 წლის პირველივე დღეებიდან ინტენსიური მუშაობა გაჩაღდა კოლექტიურ იჯარაზე, თვითდაფინანსებაზე, თვითანაზღაურებასა და სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის. ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებები სიახლეთა დანერგვის, რკინაბეტონის, სადურგლო ნაწარმის, ინერტული მასალების გამოშვების ზრდის, მასალების ყაირათიანი ხარჯვის, კადრების გაჯანსაღების და მთელი კოლექტივის სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

„კომუნისტის" ამგვარი გამოსვლა, როცა კრიტიკა არ არის ცალმხრივი, როცა იგი ობიექტურია, აგრომშენის კოლექტივს დახმარებად მიაჩნია და, ვიმედოვნებთ, რომ მას სასიკეთო შედეგი მოჰყვება.

ეკოლოგია

მსხვერპლნი გულგრილობისა

ანუ როგორ გაიგეს აღმასკომის „ნებართვა" სოფლად

მრავალ კარგ ტრადიციასთან ერთად, ერთი ჩვეულებაც მოსდგამდა ქართველ კაცს. და ეს უფრო ქვემო ქართლში შეიმჩნეოდა. ოჯახში ვაჟი რომ დაიბადებოდა, მის სახელზე ხეს დარგავდნენ. გადიოდა წლები, იზრდებოდა ყმაწვილი და მის კვალდაკვალ ნერგიც ვაჟკაცდებოდა. მცენარეს რომ მოეწყინა, ან რაღაც მიზეზით ფოთლები შესჭკნობოდა, ავისმომსწავებლად ენიშნებოდათ მშობლებს. მის მოჭრა-შებელვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო! მართლაც რომ, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ბიჭის სახელზე დარგულ მუხასა თუ ცაცხვს, კაკალსა თუ წაბლს მთელი ოჯახი, თუ ღმერთი გაწყრებოდა და ვაჟი ბრძოლიდან ვერ დაბრუნდებოდა,



ნადირობისას ან სხვა რაიმე უბედური შემთხვევისგან დაიღუპებოდა, ცრემლგამშრალ მშობლებს ხელა რჩებოდათ ერთადერთ ნუგეშად და იმედად. დღენიადაგ ელოლიავებოდნენ, ეფერებოდნენ, შემოუბარავდნენ, რწყავდნენ და შვილივით ესაუბრებოდნენ კიდეც.

თაობიდან თაობაზე გადადიოდა ეს დიდებული ტრადიცია. და შრიალებდნენ საქართველოში პაატას, ზვიადის, ცოტნესა თუ გიორგის სახელზე დარგული ხეები. მერე და მერე, ეს მშვენიერი ტრადიცია დავიწყებას მიეცა. სამწუხაროდ...

ამას წინათ, მივლინებით გახლდით ქარელის რაიონის სოფელ ქვემო ხვედურეთში. სხვა დროსაც ვყოფილვარ ამ ადგილებში. რა ჯობდა ზაფხულობით ალვის ხეებით დაჩრდილულ, მოასფალტებულ გზაზე გავლას, ახლა კი...

თვალს არ ვუჯერებდი!

თითქმის მთელი ქარსაცავი ზოლის გაყოლებაზე მიჯრით გაეჩეხათ ხეები. საცა ნაჯახით და ხერხით ვერ მისდგომოდნენ, ტრაქტორი ჩაებათ და ისე მოეგლიჯათ ძირფესვიანად. და ასე, მიჯრით ეყარა ვიღაცის მსახვრალი ხელით განადგურებული ალვები.

გული მომიკვდა ამის შემხედვარეს. არადა, რამდენი ჯაფა გასწიეს თავის დროზე მათ გასახარებლად. ათეული წლების განმავლობაში ამშვენებდნენ გზისპირს ეს ხეები, მაშვრალსაც ჩრდილს აშველებდნენ და ნათესებსაც იცავდნენ ხორშაკი ქარებისგან.

ახლა კი... ბრძოლის ველზე დაცემული ჯარისკაცებივით ეყარენ თოვლში ეს ოცი, ოცდაათი, ორმოცი წლის ხეები და ტოტები უმწეოდ აღეპყროთ ზეცისკენ.

ერთ-ერთი ეზოს წინ მამაკაცები საუბრობდნენ. მივესალმეთ, ხომ არ იცით, რატომ და ვინ შეესია ჯალალ-ედინივით ამ ახოვან ხეებსო, ვკითხეთ.

ერთმანეთს გადახედეს და მერე ჩვენ შეგვავლეს უნდო მზერა. — რა ვიცითო, თქვენ, და ბოლოს — აღმასკომიდან მოვიდა მათი მოჭრის განკარგულებაო, — დასძინეს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავიჯერეთ, რომ სწორედ რაიაღმასკომი გამოიტანდა ამგვარ „გონივრულ" გადაწყვეტილებას!

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე შოთა ელბაქიძე და ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ფილიმონ ედილაშვილი ვიკითხეთ. იქნებ მათ მაინც აგვიხსნან ამ ბარბაროსული აქტის მიზეზიო, ვიმედოვნებდით, მაგრამ თავმჯდომარე რაიონში წასული იყო, მეურნეობის დირექტორს კი ვერ მივაგენით.

ქარელის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ტრისტან ხანაშვილს თავისივე კაბინეტში შევხვდით. ვუამბეთ, რაც საკუთარი თვალით ვიხილეთ ქვემო ხვედურეთს.

— ჩვენ მხოლოდ გამხმარი ხეების გამოხშირვის ნებართვა გავეცითო, — განგვიმარტა მან.

მეტი არაფერი უთქვამს რაიონის თავკაცს, ხოლო თუ როგორ გაიგო ეს ნებართვა სოფელმა, ამაზე უკვე მოგახსენეთ!

დავუშვათ და, რაიაღმასკომის წარმომადგენლებმა ვერ „მოიცალეს" მდგომარეობის ადგილზე შემოწმებისთვის, ვერც მათივე გადაწყვეტილების შესრულებას მოეკიდენ სათანადოდ, მაგრამ სად იყვნენ სოფლის თავკაცები? რატომ არც ერთმა არ აღიმაღლა ხმა უგვანო საქციელის აღსაკვეთად? ნუთუ არ აღმოჩნდა ისეთი, გულთან ახლოს რომ მიიტანდა ამ ამბავს?!

ნუთუ, ასე გაგვიჯდა ძვალსა და რბილში „რა ჩემი საქმეას" ბაცილა? მერე ისიც გვითხრეს, გზისპირა მოსახლენი თავადვე უწყობდნენო ხელს ამ „ქველმოქმედებას" — ღობეს გადავწევთ და ნაგზაურს ჩვენ-ჩვენ კარ-მიდამოს შემოვუმატებთო!..

ამაში თავადაც დავრწმუნდით: ზოგ სულსწრაფს წამოქცეულ ალვათა ტოტები საგულდაგულოდ გაესხიპა და შემოესამანებინა „კუთვნილი" მიწა. ამაზე უთქვამთ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო!

საუბედუროდ, იმ მოჭრილ ხეებს ახლა აღარაფერი ეშველებათ. ჩვენ მხოლოდ ის გვაწუხებს, რომ გაჩეხვა კვლავ მიმდინარეობს და, თუ ასე გაგრძელდა, მალე ერთი ხეც აღარ დარჩება გზის გაყოლებაზე.

წერილის დასაწყისში ის ქართული ტრადიცია გავიხსენეთ, აქაური კაცი ხეს რომ რგავდა ახლადდაბადებული შვილის სახელზე ტრადიციას ვიღა ჩივის და, ერთს კი ვუსაყვედურებთ ქვემო ხვედურეთელებს: ხეს თუ არ დარგავთ და გაახარებთ, დარგულს მაინც ნუ მოუღებთ ბოლოს, თქვე დალოცვილებო!

ზ. გოგია,
საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

ჯანმრთელობის დაცვა

მალე მაღაზიის თაროებზე ახალი პროდუქტი უნდა გაჩნდეს. თბილისის რძის კომბინატში მის გამოსაშვებად უკვე აიგო საცდელი ტექნოლოგიური ბაზა. ჰიპოალერგენულ რძეს (ასე ეწოდება ამ პროდუქტს) გემოთი, ფერით, ყუათიანობით ვერ გამოარჩევთ იმ ჩვეულებრივი ძროხის რძისაგან, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვსვამთ. მაგრამ მის შექმნას მეცნიერთა მრავალწლიანი კვლევა დასჭირდა. ჩვენ რედაქციაში მოვიწვიეთ ამ სიახლის ერთ-ერთი ავტორი, რესპუბლიკის ალერგოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ალერგოლოგი, პროფესორი გურამ გურგენიძე და ჩამოვართვით ინტერვიუ.

სიახლე: ჰიპოალერგენული რძე

— რამდენიმე წელია, თქვენ და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი ი. მონიავა ამ რძის შესაქმნელად მუშაობთ. და აი, ცნობილი გახდა, რომ თქვენი ნაშრომი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტმა გამოგონებად აღიარა და საავტორო მოწმობაც გადმოგცათ. ჩვენს მკითხველს უთუოდ დააინტერესებს, რას წარმოადგენს ეს ჰიპოალერგენული რძე, ვისთვის ან რისთვის შეიქმნა.

— ალბათ, საუბარი იმით უნდა დავიწყოთ, თუ რამ გვაფიქრებინა მისი შექმნა — ეს არის ალერგიული დაავადებანი. ამ „საუკუნის სენს" სულ ოცი-ოცდახუთი წლის წინათ თითქმის მხოლოდ მედიკოსები იცნობდნენ. ბევრს სიტყვა „ალერგია" არც გაეგონა. დღეს კი ჩვენ შორის იშვიათად მოიძებნება ადამიანი, თვითონ, მის ახლობელს ან ნათესავ-მეგობარს რაიმე ალერგიული დაავადება, ან რომელიმე ალერგენისადმი გაზრდილი მგრძნობელობა არ ჰქონდეს. და, იმის მიუხედავად, რომ მთელ მსოფლიოში მეცნიერები ფართო ფრონტით უტევენ ამ დაავადებას, იგი კი არ კლებულობს, პირიქით, ვრცელდება. ჩვენი ალერგოლოგიური ცენტრის მონაცემებით, რესპუბლიკაში მარტო ბრონქული ასთმით 50 ათასამდე კაცია დაავადებული. გაინტერესებთ, რა უჯდება სახელმწიფოს მათი დროებითი უმუშევრობით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი? — 20 მილიონამდე მანეთი (ამაში არ შედის მედიკამენტების საფასური, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა, ამბულატორიული დახმარება და სხვა). ალერგიულ დაავადებებს სხვადასხვა ალერგენი იწვევს და მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი კვებითს ალერგენებს განეკუთვნება, ხოლო კვებითს ალერგენებში პირველ ადგილზეა ძროხის რძე.

— რძე? უძვირფასესი ბუნებრივი პროდუქტი, ადამიანის ერთადერთი საკვები დაბადებიდან 5-6 თვის მანძილზე?

— დიახ, ეს ყველაფერი ასეა. ძროხის რძე და მისგან დამზადებული პროდუქტები, მართლაც, უბადლო საკვებია ჯანმრთელი თუ ავადმყოფი ადამიანისთვის — სასარგებლო, ადვილად მოსანელებელი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და თირკმელების მოქმედების მომწესრიგებელი. მაგრამ ფაქტს ვერ გაექცევი: დადგინდა, რომ 5 წლამდე ასაკის ბავშვებში სასუნთქი გზების ალერგიული დაავადებების, მათ შორის ბრონქული ასთმის ჩამოყალიბებას ყველაზე ხშირად დაბადების პირველი დღეებიდანვე ძროხის რძით კვება უწყობს ხელს და რაც უფრო ადრე გადაჰყავთ ყმაწვილი ხელოვნურ კვებაზე, მით უფრო მეტია იმის რისკი, რომ მას რძისადმი ალერგია განუვითარდება. ხელოვნურ კვებაზე მყოფ ჩვილ ბავშვთა რიცხვი კი სულ უფრო იზრდება, განსაკუთრებით დიდად განვითარებულ ქვეყნებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, ჩვილ ბავშვთა 75 პროცენტი ხელოვნურ კვებაზე ჰყავთ.

— რით კვებავენ იმ ბავშვებს, რომლებსაც ძროხის რძისადმი ალერგია აღმოაჩნდებათ?

— საზღვარგარეთ ალერგიისადმი მიდრეკილების მქონე ბავშვებს (ვისაც ეს გენეტიკურად მოსდგამს) აძლევენ რძის შემცვლელს — სოიის რძეს და ცილების ჰიდროლიზატს, მაგრამ ისინი კვებითი თვისებებით ვერ შეცვლიან ძროხის რძეს. გარდა ამისა, ალერგიული თვისებები სოიის რძესაც აქვს და მისი ხანგრძლივი მიღებაც ზოგჯერ ალერგიულ რეაქციებს იწვევს.

— ჩვენთან რამდენი ბავშვია ხელოვნურ კვებაზე?

— დაახლოებით 40 პროცენტი. სამწუხაროდ, ეს ცოტა არ არის. ხელოვნური კვება კი ბავშვის ორგანიზმის ფუნქციებზე მრავალ არასასურველ ზემოქმედებას ახდენს. და ერთ-ერთი ძროხის რძის ალერგენული მოქმედება გახლავთ, რომელსაც განსაკუთრებით ის ბავშვები განიცდიან, მემკვიდრეობით რომ აქვთ მიდრეკილება ალერგიული დაავადებებისადმი.

— მაგრამ ურძეოდ ბავშვის გაზრდა ძნელი წარმოსადგენია...

— რა თქმა უნდა. ბავშვის კვებაში რძეს ძალიან დიდი როლი ენიჭება. რძე და რძის პროდუქტები შეუცვლელი საკვებია ფეხმძიმე და მეძუძური ქალებისთვისაც. სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა შეგვესწავლა, თუ რა იწვევს რძის ალერგიულ აქტიურობას. რამდენიმე დაწესებულებაში, მათ შორის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ალერგოლოგიის განყოფილებაში მოწყობილმა ცდებმა, გამოკვლევებმა დაგვარწმუნა, რომ ძროხის რძის ალერგენულ აქტიურობას მისი ზოგიერთი ცილოვანი ფრაქცია იწვევს.

— განა ქალის რძე ამ ცილებს არ შეიცავს?

— როგორ არა, მაგრამ ბავშვისათვის საკუთარი დედის რძის ცილები ალერგენული არ არის. და ჩვენ განვიზრახეთ ძროხის რძისაგან გამოგვეყო განსაკუთრებით ალერგენული ცილოვანი ფრაქციები და, ამრიგად, მისი შემადგენლობა (ცილების რაოდენობით) ქალის რძისთვის მიგვეახლოვებინა. აი ასე მივიღეთ ჰიპოალერგენული რძე.

— მისი გამოშვების ტექნოლოგია, ალბათ, საკმაოდ რთულია...

— პირიქით, ძალიან მარტივი. ამას სპეციალური აღჭურვილობა არ სჭირდება: ნებისმიერი რძის კომბინატს შეუძლია მისი დამზადება. რძის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის თანამშრომლებთან ე. კალანდაძესთან და ე. ბერაძესთან ერთად შევიმუშავეთ ტექნიკური დოკუმენტაცია ჰიპოალერგენული რძის სამრეწველო გამოშვებისათვის, ხოლო თბილისის რძის კომბინატში აიგო კიდეც საცდელი ტექნოლოგიური ბაზა.

— ჩვილ ბავშვთა გარდა, ხსვა მომხმარებელი თუ ეყოლება ჰიპოალერგენულ რძეს? უფროსი ასაკის ადამიანებს თუ აქვთ რძისადმი ალერგია?

— დიახ, ასეთი ალერგია აღენიშნება პრაქტიკულად ჯანმრთელ, სრულასაკოვან ადამიანთა 6,2 პროცენტს და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების მქონე ადამიანთა დაახლოებით 25-30 პროცენტს. განსაკუთრებულ მგრძნობელობას იჩენენ ძროხის რძისადმი ბრონქული ასთმით, ქინქრის ციებითა და კვინკეს ტიპის შეშუპებით დაავადებულნი. ჰიპოალერგენული რძე რეკომენდებულია იმ ფეხმძიმე ქალებისთვის და მეძუძური დედებისთვისაც, რომლებსაც გენეტიკურად აქვთ მიდრეკილება ალერგიული დაავადებებისადმი.

— იმედია, ჰიპოალერგენული რძე ხიკეთეს მოუტანს ალერგიულ დაავადებათა პროფილაქტიკის საქმეს.

— ახლა ჩვენი ყველაზე სანუკვარი ოცნებაც ეს გახლავთ.

ნ. ბარათაშვილი.

მოწესრიგების გზა გახსნილია

ერთ-ერთი ყველაზე რთული რეგიონალური პრობლემის მოწესრიგების გზა გახსნილია. ასეთია, მსოფლიო პრესის შეფასებით, ავღანეთის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადების არსი. ბევრი ქვეყნის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი მიესალმებიან განცხადებაში გამოთქვეუნებულ საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მორიგებას დააწესონ საბჭოთა ჯარების გაყვანის დაწყების კონკრეტული თარიღი — ამა წლის 15 მაისი — და განსაზღვრონ მათი გაყვანის ვადა — ათი თვის განმავლობაში. რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ვითარების მოწესრიგების შესახებ შეთანხმებების ხელმოწერა გაიმართება არა უგვიანეს 15 მარტისა, ისინი კი ძალაში შევა ორი თვის შემდეგ.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ფიცუოტერმა მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას უწოდა „სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი". ანალოგიური შეფასებანი გამოთქვეს მსოფლიოს სხვა დედაქალაქებშიც. მაგალითად, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიის, პაკისტანის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი მთავრობები მიესალმებიან მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადმა წარმომადგენელმა დ. კორდოვესმა განაცხადა, რომ ავღანეთ-პაკისტანის მოლაპარაკების შემდგომი რაუნდი ჟენევაში იწყება 2 მარტს. ამ რაუნდის დროს, თქვა მან, აპირებენ შეიმუშაონ როგორც საბჭოთა ჯარების გამოყვანის პრაქტიკული პირობები, ისე ამ პროცესისადმი კონტროლის მექანიზმიც.

მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, თითქოს მოწესრიგების გზაზე აღმოფხვრილი იყოს ყველა დაბრკოლება და მას უკვე ვერავინ ვერ შეაფერხებს. საბჭოთა ჯარების გამოყვანა, ხომ, ბუნებრივია, დაკავშირებულია ავღანეთის საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობასთან, და ეს ჩინებულად ესმით ვითარების პოლიტიკური მოწესრიგების მეგობრებსაც და მტრებსაც. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს როზან რიჯუეის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში უწინარეს ყოვლისა დაუსვეს კითხვა იმის შესახებ, თუ როდის და რა გარემოებებში აპირებს ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო დახმარება შეუწყვიტოს ავღანელ მეამბოხეებს.

რიჯუეიმ თავი აარიდა ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომელიც აფინანსებს და აიარაღებს მეამბოხეებს თანამედროვე იარაღით, აცხობინებენ მოიმიზეზონ „ავღანეთსა და მის გარშემო შექმნილი ვითარებისა და მოვლენების სირთულე და ცვალებადობა". უფრო მეტიც, ვაშინგტონში დღემდე მფარველობენ პოლიტიკური მოწესრიგების მოწინააღმდეგეებს. ამ კვირაში, მაგალითად, ეგრეთ წოდებულმა „თავისუფალი ავღანეთის კომიტეტმა" ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში გამართა სიმპოზიუმი, რომლის მონაწილეებმა საქვეყნოდ განაცხადეს, რომ არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა ჩაშალონ ავღანეთში ეროვნული შერიგების პროცესი.

საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს სხვა სახელმწიფოებს, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მხარდაჭერით მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბოლომდე განვლონ ვითარების პოლიტიკური მოწესრიგების გზა. არის ყველა საფუძველი ვიმედოვნებდეთ, რომ ეს იქნება პირველი ჩამქრალი კერა რეგიონალური კონფლიქტებისა, რომლებიც ჯერ კიდევ გიზგიზებენ აზიაში, სამხრეთ აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში.

გავრცელდა ოფიციალურ დოკუმენტად

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად გაავრცელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება ავღანეთის თაობაზე.

◆ აშშ

დამნაშავედ ცნეს

ვაშინგტონი. ვაშინგტონის ფედერალურმა საოლქო სასამართლომ პრეზიდენტ რეიგანის ყოფილი თანაშემწე პოლიტიკურ საკითხებში ფრანკლინ ნოფზიგერი დამნაშავედ ცნო ეთიკის შესახებ კანონის დარღვევაში. იგი დამნაშავედ ცნეს მისთვის წაყენებული ბრალდების ოთხიდან სამ პუნქტში. კერძოდ, იმაში, რომ უკანონოდ იყენებდა მთავრობასთან ურთიერთობაში თავისი კლიენტების ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ნოფზიგერს, რომელიც რეიგანის ძველი მეგობარი და მრჩეველია, ექვს წლამდე პატიმრობა და 30 ათასი დოლარი ჯარიმა ელის. განაჩენს 25 მარტს გამოიტანენ.

◆ ვიეტნამი

გამოცხადდა ამნისტია

ჰანოი. ვიეტნამელი ხალხის ტრადიციულ დღესასწაულთან — მთვარის კალენდრით ახალ წელთან დაკავშირებით ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ამნისტიის თაობაზე.

ამნისტიის თანახმად, საპატიმროებიდან და ხელახალი აღზრდის ბანაკებიდან განთავისუფლდება 6.406 პატიმარი. მათ შორის საიგონის ყოფილი მარიონეტული რეჟიმის 1014 სამხედრო მოსამსახურე და მოხელე. 2.768 პატიმარს, რომლებიც სანიმუშო ყოფაქცევით გამოირჩევიან, საგრძნობლად შეუმცირდა სასამართლოს მიერ მისჯილი პატიმრობის ვადა.

● ნიკარაგუა

დიალოგი განახლდება

მანაგუა. ნიკარაგუის 14 ოპოზიციური პარტია და პოლიტიკური დაჯგუფება დასთანხმდა განახლონ გვატემალის მშვიდობიანი მორიგების შესრულების ფარგლებში პოლიტიკური დიალოგი, რომელიც შარშან დეკემბერში მათი მიზეზით შეწყდა.

ხუთშაბათს ოპოზიციის წარმომადგენლებმა ეროვნულ ხელმძღვანელობას გადასცეს განცხადება, რომელშიც ადასტურებენ, რომ მზად არიან ხელი შეუწყონ ეროვნული შერიგების პროცესს. დოკუმენტი შეიცავს ოპოზიციის მოთხოვნას გაათავისუფლონ მასაიში მომხდარი შფოთის წამომწყებნი, რომლებიც ხელისუფლებმა დააპატიმრეს მთავრობის საწინააღმდეგო მღელვარების მოწყობისათვის. ნიკარაგუის მთავრობამ მიიღო კონტრასების ხელმძღვანელობის მიერ შეთავაზებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების მორიგი რაუნდის მოწყობის თარიღი — 18-20 თებერვალი.

ტექნიკა

მიკროტელეფონი მყვინთავებისათვის

ტოკიო. იაპონიის „ეს-პი-სი ელექტრონიქს" ფირმამ ბაზარზე გამოიტანა წყალქვეშ გამოყენებისათვის ულტრაბგერის კავშირის ახალი სისტემა.

კომპლექსშია ლარინგოფონი, რომელსაც მყვინთავს ყელზე ამაგრებენ, მიკროტელეფონი, რომელიც ყურთან თავსდება, და მიმღებ-გადამცემი მოწყობილობა, რომელიც ადამიანის მეტყველებას გარდაქმნის ულტრაბგერით სიგნალებად და პირიქით. ახალი სისტემის დახმარებით შეიძლება წყალქვეშ რადიოგაცვლა ცალკეულ მყვინთავებს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან 50 მეტრამდე მანძილით არიან დაშორებული. კომპაქტურობისა და მცირე წონის წყალობით ეს მოწყობილობა შეიძლება გამოიყენონ მყვინთავებმაც, რომლებიც მსუბუქი აღჭურვილობით ჩადიან წყალქვეშ. ოთხი პატარა ბატარეისაგან შემდგარი ერთი კომპლექტი საკმარისია ორი საათის განმავლობაში სისტემის უწყვეტი მუშაობისათვის.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ჟენევა. ორი დღის სემინარი თემაზე „ქიმიური იარაღი — მომავალი საერთაშორისო კონვენციის შემოწმების მეთოდები და მექანიზმი" გაიხსნა ერთა სასახლეში.** მომხსენებლებად გამოდიან შვიდი ქვეყნის დელეგაციათა მეთაურები, რომლებიც მონაწილეობენ განიარაღების შესახებ ჟენევის კონფერენციის მუშაობაში. ეს ქვეყნებია ბრაზილია, შვეცია, საფრანგეთი, პოლონეთი, სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. კამათში მონაწილეობას მიიღებენ სხვა დელეგაციათა წევრები, მთელი რიგი საერთაშორისო სამთავრობო და ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

◆ **დელი. პაკისტანის რეჟიმი აპირებს უახლოეს დროში შეისყიდოს ფ-16 ტიპის 11 ამერიკული ავიაგამანადგურებელი-ბომბდამშენი ორმოცი ასეთი საბრძოლო მანქანის გარდა, რომლებიც მის განკარგულებაშია.**

ბირთვული იარაღის მატარებელი თითოეული ეს თვითმფრინავი ისლამაბადს დაუჯდება 15 მილიონი დოლარი.

◆ **ბონი. გლეხთა მასობრივი გამოსვლები გაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.** გამოსვლები დაემთხვა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონეზე ევროპის გაერთიანებათა საბჭოს საგანგებო სესიას, რომელიც ბრიუსელში გაიხსნა. სოფლის მშრომელებმა მოითხოვეს თავიანთი შრომის უფლების დაცვა, გაილაშქრეს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ამწვავებს კრიზისს სოფლის მეურნეობაში და ალატაკებს მშრომელებს.

პრესა ადასტურებს

9 მილიონი „უჩინარი ღატაკი"

თქვენ წინ არის ბეიკერების ოჯახი, რომელიც ამერიკის კენტუკის შტატის დაბა ბრეტშიტში ცხოვრობს. მასზე და კიდევ 9 მილიონ ამერიკელზე, შეერთებული შტატების სხვადასხვა კუთხეში რომ ცხოვრობენ, ჟურნალმა „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა" გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ფარული სიღარიბე".

ისევე როგორც ბეიკერების ოჯახი, ყველა ეს ადამიანი, ერთი შეხედვით, თითქმის ისევე გამოიყურება, როგორც დანარჩენი ამერიკელები. მათ აქვთ სამუშაო და ბინაც. მაგრამ ისინი ღარიბები, ჟურნალის თქმით, „უჩინარი ღატაკები" არიან.

შეიქმნა აზრი, აღნიშნავენ სტატიის ავტორები, რომ ღარიბები ამერიკაში მხოლოდ უსახლკაროები და უმუშევრები არიან. სინამდვილეში კი შეუმჩნევლად გაჩნდა მოსახლეობის გარკვეული ფენა, რომელიც, მართალია, მუშაობს, მაგრამ გაჭირვებულად ცხოვრობს. ისინი იძულებული არიან თავი ირჩინონ იმ საკვებით, რომელიც ძაღლებისა და კატებისათვის განკუთვნილ მაღაზიებში იყიდება, რათა დაზოგილი ფულით ბინის, გაზისა და ელექტროდენის ქირა გადაიხადონ. „ღარიბები ახლა გეტოებში კი არა, ჩვენ გვერდით ცხოვრობენ", — ნათქვამია სტატიაში. ამავე დროს მოსახლეობის ეს კატეგორია, როგორც წესი, არავითარ ფინანსურ დახმარებას არ იღებს სოციალური საჭიროებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო სახსრებიდან. ოფიციალური კრიტერიუმებით ეს ამერიკელები დახმარების მიმღებთა სიებში არ ირიცხებიან და ყოველმხრივ უზრუნველყოფილად ითვლებიან.

კრიმინალური ქრონიკა

მოიპარეს 11 ტილო

ნიუ-იორკი. შეერთებული შტატების მთელი ისტორიის მანძილზე მხატვრულ ღირებულებათა უდიდესი ქურდობა მოხდა ნიუ-იორკის სამხატვრო გალერეაში. 6 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების 11 ფერწერული ნაწარმოები გაიტანეს უცნობმა პირებმა იმ მომენტში, როცა გალერეა დაიხურა დამთვალიერებლითათვის და გამორთული იყო სიგნალიზაცია.

როგორც იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, რომელიც იმოწმებს წინასწარი გამოძიების შედეგებს, ბოროტგანმზრახველები შეიპარნენ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ უდიდეს სამხატვრო მუზეუმში შენობის სახურავის მინის თაღიდან, დაუბრკოლებლად ჩამოხსნეს სურათები კედლებიდან და გაიპარნენ სხვენის ფანჯრიდან. მოპარულ სურათებს შორისაა აღორძინების ეპოქის ცნობილ ოსტატთა — ფრა ანჯელიკოს, ლოდოვიკო კარაჩის, ვილემ კალფის და სხვათა ტილოები.

ნომრის სტუმარი



მიხეილ ქვლივიძე

□ □

ეუბნებოდა მოყვასი მოყვასს:
„იყავ მორჩილი,
მომთმენი,
მშვიდი..."
და მორჩილებით მიშვერილ ლოყას
ბეჭედს ასვამდა ხუთივე თითით.
ეუბნებოდა მოყვასს მოყვასი:
„არ მოიცილო პირზე ღიმილი .."
და ხუთი თითის კვალი ლოყაზე
ენთო ვარსკვლავის ხუთი ქიმივით.

1952 წ.

□ □

აღარ თავდება კრება და სხდომა.
გრიალი გააქვთ მარშებს და ჰიმნებს.
და ისევ ებრძვის წარსულის ხსოვნა
ახლადფეხადგმულ მომავლის იმედს.
როდემდე, ღმერთო? (მართლაც, როდემდე?)
ნუთუ არ დადგა ჩვენი საშველი?!
კვლავ ყვავილებით რთავენ პორტრეტებს
და გაჰყვირიან ლექსებს ბავშვები;
ისევ ხელმძღვანელს არქმევენ „ბელადს"
და მის გარშემო ფერხულს უვლიან...
და თუმცა დავჭმეთ, რაც იყო ძველად,
ჯერ კიდევ ბევრი — ძველებურია!

1972 წ.

ციკლიდან „უჯრის პატიმრები"

□ □

ეს ქვეყანა
ბაბილონის
დაემსგავსა სასტუმროს,
ყველა ცდილობს ერთ ვილაცას
რაღაც „დაუდასტუროს":
„მზადყოფნა" თუ „ერთგულება",
(ჯანდაბა და დოზანა ..)
ერთი წუთით არა წყდება
საზეიმო ოსანა!
ყველა ენად გაკრეფილა,
მყვირის და იხარჯება,
თუმცა უკვე აღარავის
აღარაფრის არ სჯერა;
ტაში მაინც არა ცხრება,
ხალხი ერთ ამბავშია, —
თითქოს ჩვენი მოწოდება
მარტო ტაშის კვრაშია!

1972 წ.

სიზმარი

დამესიზმრა: ერთ კრებაზე
ვიჯექ სუფთად გაპარსული
და იმ სიზმარს (თუ იმ კრებას?)
არ უჩანდა დასასრული.

მახსოვს კრების დამთავრებაც,
და მხურვალე მახსოვს ტაში,
„მშრომელების აღმაფრენა"
გადაზრდილი რაღაც სხვაში.

რაში? ფეხის აყოლაში
თუ „უსაზღვრო სიყვარულში"
ან „საბრძოლო მზადყოფნაში?" —
ვერ გავიგე იმ ხმაურში.

ის კი მახსოვს და მენიშნა,
როგორ სურდათ იმ უბირებს
„ღირსეულად აღენიშნათ"
რომელიღაც იუბილე;

ღონისძიებისმაგვარი
რაღაც ახლის ჩატარება —
დამთავრების დაწყება თუ
დაწყებულის დამთავრება!

1978 წ.

□ □

„წლიური გეგმა — ვადამდე!"
ანუ თერთმეტი — ათამდე,
ატმის კამპოტი — ატმამდე
და ქათმის სუპი — ქათმამდე!
როდემდე ანდა სადამდე?
(ღმერთო მოგვეცი შეძლება!)
ამ სახიფათო, გადამდებ
სიცრუეს რა ეშველება!

1978 წ.

გარდაქმნა

ხალხი თვით არკვევს თავის საჩივრებს,
არის კამათი, განსჯა, ძიება...
და რომ ჩვენს შვილებს აღარ დახჭირდეთ
მამების ცოდვის მონანიება;
რომ აეხადოს დამალულს ფარდა,
განათდეს ყველა ბნელი კუნჭული,
რომ ყველგან, მუდამ ვამბობდეთ მართალს,
თანაც ხმამაღლა, არა ჩურჩულით;
რომ განახლების დაბეროს ქარმა
და არა კვეხნით, აყალმაყალით,
არამედ უხმოდ, მტკიცედ და სწრაფად
ფეხს იკიდებდეს ჩვენში ახალი;
რომ ვერ შეეძლოს ვერვის ხლაგმვა
ლაღი ნების და საღი გონების, —
ჩვენ დავეხახეთ მიზნად
გ ა რ დ ა ქ მ ნ ა
მოდუნებული ჩვენი ცხოვრების!
„ვაშა! და ვაშა!"
გულწრფელი „ვაშა!",
ვიხაც ეს დიდი საქმე ენება:
ზოგისთვის — წინსვლა და ფრთების გაშლა,
ზოგისთვის — მართლა გადაშენება!

1987 წ.

ლექსები ახალი წიგნიდან „წყნარი საღამო"

„წყნარი საღამო"

ლველფივით ჩაქრა დაისის შუქი,
გამუქდა მიწა და სწორედ იმ დროს
წივ-წივით, ჰაერში ბუქნით
გადაუქროლა ტოროლამ მინდორს..

ქარში გამწყდარი სიმივით ნელა
დაირხა ჩიტის ხმა გულსაკლავი
და მერე ქვეყნის მეუფის ხელმა
ცას მიაბნია ერთი ვარსკვლავი;

და იმ ვარსკვლავზე, სულის საამოდ,
(სანამ თვით უფალს დავინახავდი)
მე ჩამოვკიდე „წყნარი საღამო" —
ეს გულუბრყვილო ჩემი ნახატი.

თვალს ლულავს მიწა და როგორც ნანა,
ნიავი ყველას ძილისკენ უხმობს..

საღამოს, როცა ჩაქრება სიცხე
და როცა მთები ხცვლიან კაბას,
მეც ჩადარივით სიმღერას ვიწყებ —
სიყვარულის და სიცოცხლის ამბავს.

მაგალითები

ისტორია სავსეა, როგორც მარგალიტებით,
„სანიმუშო", „ლამაზი", „კარგი" მაგალითებით:
იმან — ამას, ამან — იმას,
იმან — ეს და ამან — ის...
ძმამ ძმა მოკლა და მავანი მტერი გახდა
მავანის...
ამას რაღაც დააბრალეს, უფლებები აჰყარეს,
იმას შანთი გაუყარეს და თვალები დათხარეს;
ერთმა, თურმე, იმოდენა იშრომა და ილვაწა,
რომ „შემთხვევით", „უნებლიეთ" შემოაკვდა
ვილაცა,
მოიშორა თავიდან და რაკი გზა გაიხსნა, —
იმ ვილაცის კარ-მიდამო სხვა ვილაცას მიჰყიდა;
მიჰყიდა და ამის შემდეგ, მედროვემ და
თაღლითმა,
მუშტარი რომ დაიგულა, საქართველოც გაჰყიდა!

რა დრო იყო, ღმერთო ჩემო, არ ცხრებოდა
მაცდური, —
ცუდ საქმეებს ხმარდებოდა ნიჭი არაკაცური.
მაგალითი ბევრი არი,
ცოდვა-ბრალიც დიდია...
მე რომ ვწუხვარ ამის გამო,
შენ რომ სწუხხარ ამის გამო, —
ესეც მ ა გ ა ლ ი თ ი ა!

ხევების სიმღერა

საღამოს, როცა ჩაქრება სიცხე
და მიწა მღელვარე წამწამებს ნაბავს,
ყველა ხე თავის ენაზე იწყებს
სიყვარულის და სიცოცხლის ამბავს.

მარად მშფოთვარე ვერხვები ბჭობენ,
ხადლაც მელექსე ჭადარი ლელავს,
ნაძვი, ქალივით მომდგარი ლობეს,
ჩემს ფანჯარაზე ანიშნებს თელას.

ტირის ტირიფი. ტოტების ქნევით
მუხლმოდრეკილი ბუჩქები სწუხან,
ჰუგუნებს ბალი და, როგორც ქვევრი,
ყველას ბანს აძლევს მოხუცი მუხა.

გზის პირას, მწკრივში, ალვები დგანან
და კენწეროებს არხევენ უხმოდ,

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

წიგნის გრაფიკის გამოფენა

ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიხსნა წიგნის გრაფიკის გამოფენა. წარმოდგენილია გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" ქუთაისის ფილიალის მიერ გამოცემული წიგნების მხატვრული გაფორმების ესკიზები.

გამოფენა ნათლად ასახავს წლების განმავლობაში ნაყოფიერ შემოქმედებით თანამშრომლობას გამომცემლობასა და წიგნის მხატვრებს შორის.

წარმოდგენილ ნამუშევრებში ყურადღებას იქცევს საქართველოს დამსახურებული მხატვრის ოთარ ქანდარიას მიერ გაფორმებული წიგნები: ქართველ პოეტთა კრებულის გაფორმება — „ვით მარგალიტი ობოლი", ოთარ ლორთქიფანიძის „რა საიდუმლოს ინახავს ვანი", ჯანო გიორგაძის „აყვავებული ბროწეული მომენატრება" და სხვ.

ცნობილ ოსტატთან ერთად გამოფენაზე წარმოდგენილი არიან ახალგაზრდა მხატვრებიც — სულ 15 მხატვრის 62 ნამუშევარი.

▼ ▼

„მხიარული საღამო" — სოფლის კლუბში

მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის კლუბში ყოველთვის ხალხმრავლობაა, იგი ახალგაზრდობის კულტურული გართობისა და აღზრდის საყვარელი ადგილია, აქ ამ ბოლო დროს შემოიღეს ყველასათვის საინტერესო და სახალისო გასართობი ღონისძიებები, მათ შორის ე. წ. „მხიარული საღამო".

სოფლის კლუბის (გამგე — გ. შარაძე) აქტივისტების ნაყოფიერი მუშაობს მაუწყებელია, რომ კლუბი სავსეა კომკავშირელებით და ახალგაზრდობით, აქ თავი შეიყარეს აგრეთვე სოფლის მშრომელებმა, კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებმა. მხიარული საღამოს მონაწილეები ჯერ ლექსების კითხვაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს, შემდეგ სიმღერების შესრულებაში, ცეკვაში, გამოცანებში. ასე რომ, ამ საინტერესო ღონისძიებებში მთელი დარბაზი აღმოჩნდა ჩართული, თითქმის ყველამ მიიღო აქტიური მონაწილეობა.

ბოლოს კი მხიარული საღამოს მონაწილეთა შორის გამარჯვებულები არა მარტო ტაშით დააჯილდოვეს, არამედ პროფკავშირის კომიტეტის მიერ ამ ღონისძიებისათვის გამოყოფილი საჩუქრებიც ხვდათ წილად.

▼ ▼

პრემიერა თეატრში

თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა მორიგ პრემიერად წარმოადგინა გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა", რომელიც მაყურებელმა დიდად მოიწონა.

რეჟისორმა მალხაზ ასლანიშვილმა, მხატვარმა ლევან როსტომაშვილმა და მუსიკოსმა მარინე ჯაშმა ცნობილ ნაწარმოებს სცენაზე ახალი სული შთაბერეს.

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტების ბ. ჩხაიძის, ვ. თევდორაძის, დ. გერგიშვილის, მ. გორგილაძის და ჰ. შარიქაძის, საკდესისა და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა **ბ. ბახტურიძემ.**

დავგელოცოთ ბალავერი!

რესპუბლიკის პერიოდიკას შეემატა ორი ახალი ჟურნალი: „ბალავერი" (ქართული ენა და ლიტერატურა საქართველოს სსრ სასწავლებლებში") და „რუსკოე სლოვო" („რუსული ენა და ლიტერატურა საქართველოს სსრ სასწავლებლებში"). ორივე ჟურნალი რესპუბლიკის განათლების სამინისტროს და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოა და ამ გამოცემებს საფუძვლად დაედო სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „სკოლა და ცხოვრების" შესაბამისი ყოველკვარტალური საგნობრივი დამატებანი — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" და „რუსკი იაზიკ ვ გრუზინსკოი შკოლე".

ჩვენს კითხვებს უპასუხებს ჟურნალ „ბალავრის" მთავარი რედაქტორი თამაზ კვაჭანტირაძე და „რუსკოე სლოვოს" მთავარი რედაქტორი ანდრია ლორთქიფანიძე.

— როგორია ახალი ჟურნალების თემატიკა და მიზანდასახულება?

თ. კვაჭანტირაძე: — „ბალავერი" მიწოდებულია გააშუქოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება რესპუბლიკის სახალხო განათლების მთელ სისტემაში: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც სწავლობენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, მათს ისტორიას, თანამედროვე მდგომარეობას. მიგვაჩნია, რომ ეს საგანი ეროვნული სკოლის საფუძველთა საფუძველია, და სწორედ ამიტომაც ეწოდა ჟურნალს „ბალავერი". თუმცა ეს გამოცემა უწინარეს ყოვლისა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის არის გათვალისწინებული, ჩვენი ინტერესები ვერ შემოიფარგლება წმინდა მეთოდიკური ხასიათის საკითხებით.

ა. ლორთქიფანიძე: ჟურნალი „რუსკოე სლოვო" აგრძელებს ტრადიციებს, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარა მისმა წინამორბედმა — დამატებამ „რუსკი იაზიკ ვ გრუზინსკოი შკოლე". ყურადღების ცენტრში იქნება ჩვენს მრავალეროვან რესპუბლიკაში რუსული ენის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ კვლავ მთავარ ადგილს დაიკავებს ქართულ სკოლაში — რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის ძირითად რგოლში — რუსული ენის სწავლების პრობლემები. ახალი გამოცემის ფურცლებზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებს.

— როგორია ახალი ჟურნალების პერიოდულობა და ტირაჟი?

— გაცილებით გაიზარდა გამოცემათა წლიური მოცულობა. წელიწადში ოთხის ნაცვლად გამოვა ექვსი ნომერი — ორ თვეში ერთხელ. ჟურნალების ტირაჟი დამოკიდებული იქნება ხელმოწერაზე, ცალობით კი შეზღუდული რაოდენობა გაიყიდება. შეიცვალა ნომრების ფასიც. ახლა იგი ეღირება 35 კაპიკი წინანდელი 25 კაპიკის ნაცვლად..

ჟურნალების გარდაქმნის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1988 წლის ხელმოწერის დამთავრების შემდეგ. წინა დამატებათა ხელმომწერები ვინაიდან მათ გადაიხადეს თითო მანეთი, ახალ გამოცემებს მიიღებენ მხოლოდ ნახევარი წლის განმავლობაში, მეორე ნახევარში გამოსაწერად მათ უნდა მიმართონ კავშირგაბმულობის ადგილობრივ განყოფილებებს ან „სოიუზპეჩატის" განყოფილებებს და გადაიხადონ სხვაობა. ჟურნალების გამოწერის დანარჩენ მსურველებს 20 მარტამდე შეუძლიათ შეუზღუდავად გამოიწერონ „ბალავრისა" და „რუსკოე სლოვოს" 1988 წლის ნომრები (პირველი ნომრის გამოკლებით).

ეს მრავალსახოვანი ბიუროკრატიზმი

ვ. კუციას ნახატი.

სპორტი

გვიხმობს თეთრი ოლიმპიადა

კანადის ქალაქი კალგარი სპორტული სამყაროს ყურადღების ცენტრშია: დღეს ადგილობრივი დროით 13 საათზე „მაკმაჰონის" სტადიონზე აგიზგიზდება ოლიმპიური ცეცხლი და საზეიმოდ გაიხსნება ზამთრის XV ოლიმპიური ასპარეზობა, ხვალ კი სპორტსმენები მედლებისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან. პრიზიორებისთვის განკუთვნილი 400 მედალი და 22 ათასი სხვადასხვა სუვენირი ჯერჯერობით სეიფში ინახება, მათს მფლობელებს ორკვირიანი პაექრობა გამოავლენს.

სხვათა შორის, წლევანდელი ოლიმპიადა ყველაზე ხანგრძლივია ამ რანგის ადრინდელ შეჯიბრებებთან შედარებით, ამასთან, ყველაზე წარმომადგენლობითიც: კალგარის ოლიმპიურ სარბიელზე 57 ქვეყნის 2000-მდე სპორტსმენი გამოვა. საბჭოთა დელეგაციაში 112 სპორტსმენია. ოლიმპიადის მთავარ პრესცენტრში, რომელიც ორშაბათიდან შეუდგა მუშაობას, 5000 ჟურნალისტია აკრედიტებული. სპორტული პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, ისევე როგორც ოლიმპიადის სხვა სტუმრებს — მსაჯებს, მწვრთნელ-სპეციალისტებს მუშაობის საუცხოო პირობები ექნებათ. რა თქმა უნდა, ოლიმპიადის ორგანიზატორებმა განსაკუთრებით იზრუნეს იმისათვის, რომ სპორტსმენებს ვარჯიშის, ასპარეზობისა და დასვენების მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები ჰქონოდათ. როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, კალგარის ოლიმპიადის ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ „პრობლემები მთლიანად გამორიცხულია". ეტყობა, პრეზიდენტს მხედველობიდან გამორჩა ამინდის ჭირვეულობანი, არადა, ამის გამო ორგანიზატორები ბევრ სიძნელეს წააწყდნენ. მართალია, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ თოვლი წამოვიდა, მაგრამ მოულოდნელად შემოჭრილმა თბილმა ქარმა თოვლი აქა-იქ დატოვა. გუშინ კალგარში 9 გრადუსი სითბო იყო, ორიოდე დღის წინ კი თერმომეტრი მინუს 20 გრადუსს უჩვენებდა.

ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ გაუძლებენ ბუნების შემოტევას და შეჯიბრებებს შეუფერხებლად გამართავენ. ოლიმპიადასთან დაკავშირებით ქალაქს და მიმდებარე მთიან რაიონებს არაერთი სპორტული ბაზა და ნაგებობა შეემატა. ოლიმპიურ შეჯიბრებებს 2 მილიონამდე მაყურებელი დაესწრება, ცხადია, გაცილებით ხალხმრავალი იქნება ოლიმპიადის ტელეაუდიტორია. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, სპორტის მოყვარულებს საშუალება ექნებათ თვალყური ადევნონ ოლიმპიურ ასპარეზობათა მსვლელობას.

...მაშ ასე, სტარტზეა თეთრი ოლიმპიადა, იწყება საინტერესო სპორტული ბატალიები.

საჩუქარი დაბადების დღეს

წყალტუბო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მეთერთმეტე ტურის ცენტრალური შეხვედრა, უდავოდ, ახმილოვსკაია-იოსელიანის პარტია იყო. ახმილოვსკაიას — შეჯიბრების პოტენციურ ლიდერს — სავსებით აძლევდა ხელს ყაიმი, იოსელიანს კი შავებით მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ეფიქრა. ამ შემთხვევაში იგი პირველი ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობას ინარჩუნებდა. გათამაშდა ახალინდური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. იოსელიანმა შედარებით იოლად გაათანაბრა პოზიცია. შუა თამაშში თეთრებმა ვერ მონახეს სწორი გეგმა და მათი მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. ნანა ეტლით შეიჭრა მეტოქის განლაგებაში და პაიკიც მოიგო. გარდა ამისა, ახმილოვსკაიას ბანაკში სოლივით შეჭრილი შავი პაიკი თიშავდა ლიდერის ძალებს. იოსელიანმა, რომელიც ამ დღეს იშვიათი სიზუსტით და თანმიმდევრობით თამაშობდა, მეტოქეს გასაქანი არ მისცა. მან მოიგო მეორე პაიკიც და პარტიაც. ახლა აღარ დარჩენილა შეჯიბრების არც ერთი დაუმარცხებელი მონაწილე, იოსელიანმა კი, რომელსაც 12 თებერვალს დაბადების დღე ჰქონდა, საკუთარ თავს კარგი საჩუქარი მიუძღვნა. მომდევნო სამ ტურში იოსელიანი შეხვდება არახამიას, ლიტინსკაიასა და ალექსანდრიას.

ყაიმით დამთავრდა ლიტინსკაია-ლევიტინასა და ბრუსტმანარახამიას პარტიები, ალექსანდრია დამარცხდა გაფრინდაშვილთან.

გუშინ გაფრინდაშვილისა და არახამიას გამოტოვებული პარტია გაფრინდაშვილის გამარჯვებით დამთავრდა. ალექსანდრიამ გადადებული პარტია მოუგო ლიტინსკაიას. ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობა: იოსელიანსა და ლიტინსკაიას 7-7 ქულა აქვთ, ახმილოვსკაიას 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ლევიტინას — 6, ალექსანდრიას — 5.

გ. გამრეკელი.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე.

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 15 თებერვალი

პირველი პროგრამა. 14.05—დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 14.15—საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 14.25—დოკუმენტური ფილმი „შრომაში და თავდაცვაში". 14.55 — ა. ხორავას სახელობის ცხაკაიას სახალხო თეატრი. 15.55 — განცხადებები. 16.30 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „იქ, სადაც ვოლგა ვერცხლის ფერს იღებს". 17.00 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.55 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 18.15 — მოსწავლეთათვის. „ფესტივალი, ფესტივალი". 18.55 — ახალგაზრდობისათვის „სამი და". 19.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.00 — მოამბე. 20.30 — საბჭოთა არმიის შექმნის 70 წლისთავისათვის. ქართული მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის მამა". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — ზამთრის XV ოლიმპიური ასპარეზობა. სათხილამურო სპორტი. გადაცემა კალგარიდან (მ).

მეორე პროგრამა. 18.05 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩიორა". 19.30 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „პროფესია — კინომსახიობი".

სამშაბათი, 16 თებერვალი

პირველი პროგრამა. 14.05 —დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 14.15 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 14.25 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჩვეულებრივი მზეთუნახავი". 15.15 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მარადიული ბუნება". 16.35 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.05 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 17.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მარაბდიდან ახალქალაქამდე". 17.45 გარდაქმნის წახნაგები. „პოზიცია" (გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს" პრობლემები). 18.20 — „ხკოლა: გარდაქმნის პრობლემები" (მ). 18.50 — „ზრუნვა". 19.30 — „ჯანმრთელი რომ ვიყოთ". 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები — „სიახლენი კავშირგაბმულობაში". 21.05 — სატელევიზიო კომედიური ფილმების ეკრანი. ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღვინის ქურდები". 21.35 — კინომოყვარულთა ფესტივალის სტუმრები. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — ჩვენი საუკუნე გიყავს უახლესი. 22.55 — საბჭოთა არმიის შექმნის 70 წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „ყოველი მეათე". 24.00 ნეაპოლური სიმღერები. 0.20 — ზამთრის XV ოლიმპიური ასპარეზობა. სათხილამურო ორჭიდი, სლალომი.

მეორე პროგრამა. 17.45 — ქართული მხატვრული ფილმი „ზვავთა ქვეყანა". 18.50 — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია. 19.35 — დოკუმენტური ფილმი. 20.00 — მოამბე. 20.35. — საბჭოთა არმიის შექმნის 70 წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „ყურადღებით იყავი".

ცისფერ ეკრანზე

ოთხშაბათი, 17 თებერვალი

პირველი პროგრამა. 14.05—დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე, 14.15 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 14.25 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.55 — დოკუმენტური ფილმი „საშიშ ზოლამდე". 15.45 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 16.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აგრონომი და აგრომრეწვი". 16.35 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.05 — რეკლამა. 17.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „თემის მარცვალი". 17.30 — „ჯადოსნური ეკრანი". 17.55 — მოსწავლეთათვის. „მეგობრობის მერიდიანზე". 18.35 — გარდაქმნის წახნაგები. „კანონი მოქმედებს". 19.25 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. მეოთხედფინალური მატჩი. 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები. „სიახლენი კავშირგაბმულობაში". 21.00 — საესტრადო პანორამა. 21.45 „ერთიანობის ძიებაში". 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „თემა".

ხუთშაბათი, 18 თებერვალი

პირველი პროგრამა. 13.00 — რესპუბლიკური სატელევიზიო სელექტორული თათბირი სახელმწიფო არბიტრაჟის მონაწილეობით. 14.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 14.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 14.30 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 15.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აზოვის ზღვა". 15.50 — მასწავლებლის საათი. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 16.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალექსანდრე ვამპილოვი". 16.40 — ტელეკურსი ლექტორთათვის. სამინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმი — სატელევიზიო კომედიური ფილმების ეკრანი. ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მადრევანი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 23.00 ზამთრის XV ოლიმპიური ასპარეზობა. საციგაო სპორტი, ყინულზე ჩქაროსნული რბოლა.

მეორე პროგრამა. 17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 18.30 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 19.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „კონტაქტი". 17.30 — საბჭოთა არმიის შექმნის 70 წლისთავისათვის. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩაპაევი. ლეგენდა და ადამიანი". 18.00 — მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური სალებავი". 18.45 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ილიკო ქურხული". 19.10 — ახალგაზრდობისათვის. „შუქნიშანი". 19.25 — წერილის დღე. 19.30 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით". 20.00 — მოამბე. 20.40 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. მეოთხედფინალური მატჩი. 21.30 — კონცერტი. 21.55 — წერილის დღე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — „პოზიცია" (მ). 0.15 — ზამთრის XV ოლიმპიური ასპარეზობა. სათხილამურო სპორტი. ჩქაროსნული დაშვება.

მეორე პროგრამა. 18.15 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.15 — მოსწავლეთათვის სსრ კავშირის ისტორია. 20.00 მოამბე. 20.40 — მხატვრული ფილმი „წმინდა ინგლისური მკვლელობა".

პარასკევი, 19 თებერვალი

პირველი პროგრამა. 14.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 14.15 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 14.25 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი". 15.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამეგრელოს ჩანახატები". 15.25 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 15.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „წეროს ძახილი". 16.45 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.15 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ევგენი მრავინსკი". 18.10 — „ჯადოსნური ეკრანი". 18.35 — მოსწავლეთათვის „ჩემო მამულო!". 19.15 — გარდაქმნის წახნაგები. ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობის პერსპექტივები. 20.00 — მოამბე. 20.35 — საბჭოთა არმიის შექმნის 70 წლისთავისათვის. რ. კუკულდავა. 20.50 — სპორტული პროგრამა. 21.35 — პოეზია. მ. ჩხეტიანი. 21.55 — საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია". 22.40 „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — ზამთრის XV ოლიმპიური ასპარეზობა. სათხილამურო სპორტი. 23.15 — ჯაზ-ფესტივალი პოლონეთში.

მეორე პროგრამა. 17.25 — სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლი „ქარიშხლის წინ". 19.15 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „ხუთი საღამო".

შაბათი, 20 თებერვალი

პირველი პროგრამა. 7.30 — 120 წუთი". 9.40 — დოკუმენტური ფილმი. 10.00 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 10.10 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჯოჯოხეთის კარიბჭესთან". 11.10 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „კონტაქტი და კონფლიქტი". 11.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.55 — გიწვევთ „იავნანას" საოჯახო კლუბი. 12.20 — სსრ კავშირის დღეები ბულგარეთში — მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები. 14.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.15 — საინფორმაციო გამოშვება. 14.25 — ა. შავერზაშვილის კამერული ნაწარმოებები. 15.00 — საბჭოთა არმიის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზიდან. 17.00 — „გლობუსი". 17.50 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი სადისკუსიო კლუბი" (ეძღვნება სკოლის რეფორმის საკითხებს). 19.00 — თანამედროვე ქართული პოეზიის საღამო მოსკოვში. 20.00 — მოამბე. 20.40 — „კინოს სამყაროში". 21.30 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — ზამთრის XV ოლიმპიური ასპარეზობა. ბიატლონი. ბობსლეი. თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა. სლალომი.

კვირა, 21 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.00 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.10 — „დილა მშვიდობისა!" — საკვირაო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები", 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — საკვირაო გამოფენა. 12.05 — საუბრები არქეოლოგიაზე. 12.35 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 13.05 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.35 — მულტიპლიკაციური ფილმი. 13.45 — საკვირაო გამოფენა. 13.50 — სპორტული გადაცემა. 15.00 — ვესტნიკი. 15.30 — საკვირაო გამოფენა. 15.35 — ახალგაზრდობისათვის. „სტუდენტური თვითმოქმედება". 16.55 — „ფილმი და რეჟისორი". სერგი ეიზენშტეინი. (დაბადების 90 წლისთავის გამო). 18.05 — საბჭოთა არმიის 70 წლისთავისათვის. „ცხოვრება კაცისა". გენერალი ჯანჯღავა. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ). 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 —გარდაქმნის წახნაგები. 20.55 — ზამთრის XV ოლიმპიური ასპარეზობა. სათხილამურო სპორტი. სათხილამურო ესტაფეტა 4X5 კმ. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული პროგრამა. 0.30 — ზამთრის XV ოლიმპიური ასპარეზობა. ჰოკეი: სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები.

შაბათი, 13 თებერვალი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — ფილმ-კონცერტი „ფერუზა". 10.10 — ადამიანი. დედამიწა. სამყარო. 11.10 — წყაროები. 11.40 — დოკუმენტური ფილმი. 12.00 — გარდაქმნა და კულტურა. 13.00 — მ. გლინკას სიმფონიური მინიატურები. 13.30 — დოკუმენტური ფილმი „ღია გული" ციკლიდან „თანამედროვენი". ქირურგ ნ. მ. ამოსოვის შესახებ. 14.00 — სოციალისტურ ქვეყნებში. ტელეჟურნალი. 14.30 — „ცისარტყელა" (ბურიანა-ფასო). 15.00 — ყველასთვის და თითოეულისათვის. ვაჭრობის ორგანიზაცია: გამოცდილება და ხარვეზები. 15.30 — ახალი ამბები. 15.40 — მხატვრული ფილმი „საპასუხო სვლა". 17.00 — ცხოველთა სამყაროში. 18.05 — მულტფილმები. 18.30 — პოეზიის წუთები. 18.35 — ლ. მეპიტკოს ფილმები ტელეეკრანზე. „გამოთხოვება". I და II სერია. 20.35 — ახალი ამბები. 20.40 — დოკუმენტური ტელეფილმი „ვაშინგტონი, 1987 წლის დეკემბერი". 21.45 — ხალხური მელოდიები. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 შაბათ საღამოს. „ანშლაგი? ანშლაგი!". 23.55 — ზამთრის XV ოლიმპიური ასპარეზობის საზეიმო გახსნა. ტრანსლაცია კალგარიდან. 1.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.15 — პროგრამა „აზრი". ტელემიმოხილვა „პერსპექტივა". პოლონეთის ტელევიზიის სამეცნიერო-შემეცნებითი პროგრამა. 10.05 — სატელევიზიო თეატრალური აბონემენტი. ა. მ. გორკი — „მდაბიონი". 11.00 — ჯანმრთელობა. 11.45 — ისტორიის ფურცლები. ისტორია და პატრიოტიზმის აღზრდა. 12.20 — წელიწადის დროები. 13.20 — სოლამდელთა ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდა. ერთ წლამდე ასაკის ბავშვების აღზრდა. 13.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 14.45 — ამკარა — დაუჯერებელი. 15.45 — მულტფილმი. 15.55 — ა. ს. დარგომიჟსკის მუსიკის დღე. 17.00 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „მიმინო". 18.30 — სპექტაკლი — „ქვის სტუმარი". 20.00 — ა. ს. დარგომიჟსკის რომანსებს მღერიან ე. ობრაზცოვა და ე. ნესტერენკო. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — რუსული ხალხური საკრავების ორკესტრის გამოსვლა. 21.40 — „რუსული ხუროთმოძღვრების ოსტატები". „მათე კაზაკოვი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — პროგრამა „აზრი". მშობლის დღე — შაბათი. 0.20 — „ელეგია". დოკუმენტური ფილმი თ. ი. შალიაპინზე. 0.50 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი" (მ.). 9.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 9.50 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „70 შეკითხვა". 11.05 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.30 „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა". მხატვრული ფილმი „სანტიმენტალური მოგზაურობა კარტოფილის ასაღებად". 12.55 — „დაიბეჭდა ილიას ვიზით". 13.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.45 — „მუსიკალური კალენდრის ფურცლებზე". 15.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.05 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი თეატრი". 15.35 — საინფორმაციო გამოშვება. 15.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.45 — „საბჭოთა არმიის 70 წლისთავისათვის". „სამხედრო საზღვრების სადარაჯოზე". 16.30 — „ხუთწლედი, წელი მესამე" — კანონი მოქმედებს. 17.20 — მხატვრული პროგრამა. 19.05 — ახალგაზრდობისათვის. „ცხოვრება კაცისა" (ლადო გუდიაშვილი). 20.00 — მოამბე. 20.40 — პრემიერა სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისა „ვაშინგტონი, 1987 წლის დეკემბერი" (მ.). 21.45 — ხალხური შემოქმედება. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი" (მ.). 22.50 — „შემოქმედებითი პორტრეტები". თენგიზ ამირეჯიბი. 23.55 — მე-15 ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის საზეიმო გახსნა (მ.).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10659 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14